ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 ნოემბერი 2008 №261 (3485) ფასი 50 თეთრი




## ზესტაფონი ფიფას: გვაცადეთ ბატონო!

კესანის საქმე ითარგმნება

2



## ქართული ხელბურთი ჭაობიდან იყურება

ინტერვიუ იმედო ფხაკაძესთან

12



## მეორე კარგი და მეორე ცუდი

კოკაიმ ისევ მოიგო

13

# დედაქალაქური დერბი თასზე

## იმერეთის ახალი საფეხბურთო დედაქალაქი თუ დინამო?



# რუსეთთან ბრძოლა ნეიტრალურზე!

გუშინ რაგბის საერთაშორისო საბჭომ ჩვენთვის არცთუ სასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო: ერთა თასის გათამაშებაში საქართველოსა და რუსეთის ორივე მატჩი ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდება. ეს ნეიტრალური ადგილი კი, სავარაუდოდ, საფრანგეთი იქნება.

საფრანგეთი ქართველი ლეგიონერებისთვის ლამის მეორე სამშობლოა, მაგრამ...

სამწუხაროა, რომ ქართველ გულშემატკივარს საქართველო — რუსეთის ცოცხლად ყურების საშუალება სულ მცირე, ერთი წლით წაერთვა და თანაც, მატჩების ნეიტრალურ მოედანზე ჩატარების იდეა საქართველოს რაგბის კავშირიდან არ მოდიოდა. გუშინ რაგბის კავშირში გვითხრეს, თბილისში სათამაშოდ ხომ თავისთავად და, საპასუხო მატჩისთვის კრასნოიარსკში ჩასვლაზეც თანახმანი ვიყავით, რაკილა რუსეთის ნაკრების დამარცხება ნებისმიერ ადგილას შეგვიძლიაო.

მაგრამ IRB-მ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ნეიტრალურის გადაწყვეტილება მაინც მიიღო...



# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge



მალხაზ ახალკაციშვილის ფოტო

# თასი და, რა თქმა უნდა, ზესტაფონი — დინამო

თბილისი. 11 ნოემბერი. 14 საათი. მ. მესხი

**ლოკომოტივი — სიონი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, გ. ჩიგოგიძე, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე

გორი. 11 ნოემბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე

**ვიტ ჯორჯია — მერანი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, დ. კურტანიძე, ვ. ელისაბედაშვილი

ზესტაფონი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — დინამო**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, ლ. კვარაცხელია

რუსთავი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ამერი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. ჯვარიძე, ი. უკლება, ლ. სილაგავა

**საქართველოს** დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალიც კარს მოგვადგა.

დაგვეთანხმებით, საკმაოდ საინტერესო წყვილებია, მათ შორის ყველაზე გამორჩეული თასის ამჟამინდელი მფლობელის, „ზესტაფონისა" და ქვეყნის ჩემპიონ თბილისის „დინამოს" დაპირისპირებაა.

იმერული კლუბი რამდენჯერაც შეხვდა თასზე „დინამოს", იმდენჯერ ხელმოცარული დატოვა. როგორ შეიძლება, დავივიწყოთ შარშანდელი ნახევარფინალი თბილისში — შეხვედრა 1:1 დასრულდა, ზესტაფონში კი როინ ონიანის ერთადერთი გოლით იმარჯვეს იმერლებმა.

ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემპიონატშიც შეხვდნენ ეს გუნდები ერთმანეთს და დედაქალაქელებმა იმავე სარბიელზე 1:0 მოიგეს. თუ ჩემპიონატის შეხვედრაში იმერლები იყვნენ ძალიან ინერტულები შეტევაში, სათასო დაპირისპირებაში თბილისელები „დადგნენ" და არცთუ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა ატყდა, თამაშები გაცვალესო, თუმც ამას მეტი გაგრძელება აღარ მოჰყოლია და „ზესტაფონმაც" მეოთხე ცდაზე საქართველოს თასი მოიგო.

მე-20 ეროვნული ჩემპიონატი ორივემ არადამაჯერებლად დაიწყო, თუმც მათ ნელ-ნელა უმატეს. ათი ტურის შემდეგ მესამე-მეოთხე ადგილებზე არიან და ლიდერს მცირედით ჩამორჩებიან. ჩემპიონატის ბოლო ხუთ შეხვედრაში ზესტაფონელმა ნიკა გელაშვილმა ხუთჯერ გაიტანა, დინამოელი მათე ვაწაძე მას ერთი გოლით უსწრებს და მათი დუელიც საინტერესო იქნება.

სამწუხაროდ, ახალ სეზონში ზესტაფონის სტადიონზე ხალხის რაოდენობამ იკლო, მაგრამ „ზესტაფონ" — „დინამოს" დღევანდელ ჯახს, ვფიქრობთ, მაყურებელი არ დააკლდება.

ამ მატჩს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში გადასცემს.

„ლოკომოტივი" ნახევარფინალის საგზურისთვის ბოლნისის „სიონს" შეეცილება.

რა შეხსენება უნდა, რომ „ლოკომოტივი" ახლა ჩემპიონატს ლიდერობს, თუმც ბოლო ორი მატჩია, გოლი ვერ გააქვს და ორივეში დამარცხდა, ერთ-ერთი მარცხი კი სწორედ „სიონმა" აგემა.

ამ გუნდებს ამბიცია არ აკლიათ და შემადგენლობაც ნორმალური ჰყავთ.

ასე რომ, მაგარი მატჩების მოლოდინში ვართ.

საქართველოს კიდევ ერთი ექსჩემპიონი და თასის ორგზის მფლობელი გაარკვევენ ურთიერთობას — რუსთავის „ოლიმპი" ფინანსური კრიზისის გამო პირველ ლიგაში ნებით დაქვეითებულ თბილისის „ამერს" შეხვდება. ამერელები საქართველოში სათასო გუნდად მოინათლნენ — ბოლო სამ ფინალში ითამაშეს და აქედან ორში გამარჯვებულები დარჩნენ.

ახალ სეზონში როგორც „ოლიმპი", ისე „ამერიც" საკმაოდ სახეცვლილია — რუსთაველებმა ბლომად ტრანსფერი განახორციელეს, მათ შორის, რამდენიმე ამერელიც გადაიბირეს — დენის დობროვოლსკი, გიორგი დეკანოსიძე, თენგიზ ჩიკვილაძე.

„ოლიმპის" ხელმძღვანელობამ ფული ბლომად დახარჯა, მაგრამ სტარტი ცუდი გამოუვიდა და მწვრთნელი შეცვალეს. ხვიჩა ქასრაშვილის ადგილი ვარლამ კილასონიამ დაიკავა და ნელა-ნელა „ოლიმპიც" გუნდს დაემსგავსა. „ამერი" კი სულ ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. მათი მიზანი წლეულს უმაღლესში დაბრუნებაა და პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონაში ერთ-ერთი ლიდერია. რა თქმა უნდა, ნახევარფინალში გასვლის მეტი შანსი „ოლიმპს" აქვს. დანარჩენს კი მატჩები გამოაჩენს.

მეოთხე წყვილს კი თბილისის „ვიტ ჯორჯია" და პირველლიგელი მარტვილის „მერანი" ქმნიან.

ვიტელები რატომღაც თასს აქამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და არც არასოდეს მოუგიათ. ახლა კი ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსი აქვთ. მარტვილელებს კი პირველი ლიგის კვალობაზე საკმაოდ ნორმალური გუნდი ჰყავთ და ფაქტია, უბრძოლველად არაფერს დათმობენ.

ვიტელთა თავკაცმა ნესტორ მუმლაძემ „სიონთან" ნამატჩევს თქვა, კალენდრის სიმჭიდროვის გამო ჩემს გუნდს გადაღლილობა ეტყობაო. როგორც შევიტყვეთ, დღევანდელ შეხვედრაში მუმლაძე ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეს დაასვენებს.

შეგახსენებთ, რომ საპასუხო მატჩები 26 ნოემბერს ჩატარდება. დღევანდელი შეხვედრები კი 14 საათზე დაიწყება.

**ნუგზარი ლოლაძე**

**დისკვალიფიცირებულნი:**
ციცხვაია (მერანი), კახელიშვილი (ლოკომოტივი)

# ზესტაფონი ფიფას: გვაცადეთ, ბატონო!



**პოლ კესანმა** მაგრად აურია დავთრები „ზესტაფონს": მართალია, ალბათობა იმისა, რომ ფიფა გაბონელს გაამართლებს, მცირეა, მაგრამ სკანდალში გახვევა ვერაა სასიამოვნო ამბავი.

უკვე ვწერდით, რომ ფიფას მიერ გამოგზავნილი წერილი და პოლ კესანის 26-გვერდიანი საჩივარი „ზესტაფონის" იურისტ ნიკა არსენიშვილს აქვს. ფიფა ითხოვს, კესანის თემაზე იმერულ კლუბს 10 ნოემბრამდე მიეცა განმარტება, თუმც არსენიშვილმა გვითხრა, სავარაუდოდ, ფიფას 10 დღით ვთხოვთ მოთმენას, რაკილა საჩივარი 26-გვერდიანია და მის გადათარგმნას დრო სჭირდებაო.

გუშინ სწორედ 10 ნოემბერი იყო და არსენიშვილს დავუკავშირდით:

— ფიფას გავუგზავნეთ წერილი, რომ 20 ნოემბრამდე გვადროვოს. კესანის საჩივარის თარგმანი სწორედ დღეს მივიღე და ახლა ვკითხულობ, აქედან გამომდინარე, ჩვენ საპასუხო ტექსტი უნდა დავამუშავოთ, ამას კი ნაუცბათევად ვერ გავაკეთებთ.

**— წერილის დაგვიანების გამო ფიფა საყვედურს არ გეტყვით?**

— არა, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**— საჩივრის ქართული თარგმანი ხელთ გაქვთ. რა წერია იქ კონკრეტულად ისეთი, რაც აქამდე არ ვიცოდით?**

— იცით, რომ კესანს ფოტოებიც აქვს დართული, სადაც ირწმუნება, რომ ნაცემია, მაგრამ ეს არაა დამადასტურებელი ფაქტი. ამ საკითხზე მსჯელობა იქნება და ვფიქრობ, უცებ არ გადაწყდება კესანის საქმე.

ჩვენის მხრივ შეგახსენებთ, რომ კესანი ამბობს, „ზესტაფონში" მცემდნენ და რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ამის გამო, ჩემი კონტრაქტი კლუბთან ავტომატურად უნდა გაწყდეს და პლუს, „ზესტაფონმა" ჯარიმა უნდა გადაიხადოს ისრაელის „ჰაპოელ კირიათ შმონაში" ჩემი ტრანსფერის შეფერხებისთვისო.

„ზესტაფონს" კი თავისი მოთხოვნები აქვს: კესანს დისკვალიფიკაცია უნდა მიეცეს კონტრაქტის არშესრულებისთვის და გუნდიდან წასვლისთვის, ასევე, არალიცენზირებულ აგენტთან საქმის დაჭერის გამო და თან, გაბონელმა უნდა აანაზღაუროს ის თანხა, რაც მას „ზესტაფონმა" დაახარჯაო.

მოკლედ, გუშინ „ზესტაფონმა" ფიფას ვადა სთხოვა — საპასუხო ვრცელ წერილს 10 დღეში გამოგიგზავნითო.

ასე რომ, ჩვენც მოვიცადოთ..

**ილია ნანობაშვილი**

# რუმინეთი — საქართველო: ბილეთები და მსაჯები

**გეცოდინებათ,** საქართველოს ეროვნული ნაკრები რუმინეთში 16 ნოემბერს დილით გაფრინდება, 19-ში კი ბუქარესტის „დინამოს" სტადიონზე მატჩი ჩვენი დროით 22 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ჩვენები შუადღით იქნებიან ბუქარესტის „ჰენრი კოანდას" აეროპორტში, საიდანაც სასტუმრო „ჰოვარდ ჯონსონში" მივლენ და იქ დაბინავდებიან.

მატჩზე დასაწრები ბილეთები საკმაოდ იაფია: 5, 10 და 15 რუმინული ლეი. ცნობისთვის, 10 ლეი 3 ევროს ექვივალენტია.

და ერთიც: რუმინეთ — საქართველოს მატჩს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსაჯი, ბერძენი კიროს ვასარასი გაუძღვება. ასისტენტებიც, ცხადია, ვასარასის თანამემამულეები არიან — ხრისტოს ენაიოსი და დიმიტრიოს სარაიდარისი.

**ილია ნანობაშვილი**

**გერმანია**
II ბუნდესლიგა
ფრაიბურგი 2:0 ზტ. პაული

**დანია**
სუპერლიგა
მიდტიულანდი 2:0 ვეილე

**ინგლისი**
ასოციაციის თასი
უიმბლდონი 1:4 უიკომბი

**იტალია**
სერია B
პარმა 1:1 ბარი

**ირლანდია**
პრემიერდივიზიონი
სტ. პატრიკსი 2:1 დერი

**პორტუგალია**
თასი
ნასიონალი 1:0 ბრაგა

**ბულგარეთი**
A ჯგუფი
სლავია 2:0 ჩერნომორეცი

**ევროპის U19 ჩემპიონატი**
შესარჩევი მატჩები
რუმინეთი 3:2 უელსი
თურქეთი 4:0 ანდორა

**შვეიცარია**
ჩელენჯლიგა
სენტ გალენი 0:0 ვილი

**ჩეხეთი**
გამბრინუს ლიგა
ბოლესლავი 0:2 ბანიკი

**რუსეთი**
პრემიერლიგა
მოსკვა 1:4 ცსკა

**საფრანგეთი**
II დივიზიონი
ტრუა 1:0 ბულონი

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 10 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლნისელი დავით სვანიძის გამთანაბრებელი „ვიტ ჯორჯიას“ კარში



რევაზ თევდორაძე „მესხეთს“ მაგრად დაუდგა

# სანამ წრე შეიკვრება...

ფრიად საინტერესო გამოდგა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა ტური, რომელიც ახლა „ბორჯომისთვის“ გამოდგა უქმე: ყველა მატჩს თავისი წილი ინტრიგა სდევდა და გოლებიც ბლომად იყო — 5 შეხვედრაში 14 გოლი!

თბილისური ამბებით დავიწყოთ და ლიდერ „ლოკომოტივისა“ აუტსაიდერ „ოლიმპის“ მატჩი გავიხსენოთ.

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, შეხვედრის შედეგი მოულოდნელობად უნდა ჩავთვალოთ, თუმც გუნდების შემადგენლობებს თუ გადავხედავთ და მათ პოტენციალს გავითვალისწინებთ, „მიხეილ მესხზე“ გასაკვირი არაფერი მომხდარა. რუსთავის „ოლიმპმა“, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და აგერ, უკვე ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. გუნდიდან ხვიჩა ქასრაშვილის დათხოვნის შემდეგ ახალმა მწვრთნელმა, ვარლამ კილასონიამ, შემადგენლობა და ტაქტიკური მონახაზი თავისებურად გადააწყო და შედეგიც სწრაფად მიიღო. ცოტა ხნის წინ წყალწაღებულმა აუტსაიდერმა ქულების მოგროვება ბოლო მატჩებში დაიწყო და ცხრილის ფსკერს სამი საფეხურით დაშორდა.

„მიხეილ მესხზე“ მეტოქეებმა საგოლე მომენტები მრავლად კი შექმნეს, მაგრამ ეს უფრო მცველთა უყურადღებობის შედეგი იყო.

კომბინაციები ბევრი არ ყოფილა, „ოლიმპმა“ კი იყოჩაღა და რაც მეტოქის კართან შექმნა, მათგან ორი გოლით დასრულდა.

აღსანიშნია, რომ ერთი გოლი არა მხოლოდ რუსთაველთა, მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა გიორგი მეგრელაძემ გაიტანა, რაც ამ სეზონში მისთვის პირველი გამოდგა.

სხვაც აუცილებლად სათქმელია: „ლოკომოტივმა“ წლეულს ცხრა მატჩიდან მესამე შეხვედრა წააგო და... ისევ შინ. „მიხეილ მესხზე“ „მგლებმა“ იმარჯვა, ხოლო წინა ტურში ზაზა ზამთარაძისა და გიორგი კიკნაძის ბიჭებს ბოლნისის „სიონმა“ აჯობა.

მოკლედ, „ლოკომოტივმა“ მიჯრით მეორედ წააგო, „ოლიმპმა“ კი ბოლო ორ მატჩში ქულათა მაქსიმუმი მიიღო.

ტურის მეორე თბილისური შეხვედრა შაბათს გლდანში, „ამერის“ სტადიონზე შედგა და ჩემპიონატის პირველი ჰეთ თრიქიც იქ გაკეთდა: 19 წლის გაგრელმა გიორგი გაბედავამ, შეიძლება ითქვას, მარტომ შეიწირა ახალციხის „მესხეთი“, სტუმრებს მან ორი გოლი შორიდან გაუტანა, ერთიც — ლამის კარის ხაზიდან.

გაბედავას საკმაოდ ძლიერი და ზუსტი დარტყმა აქვს და ამ მხრივ საქართველოს ჩემპიონატში ბევრიც ვერ შეედრება. გაბედავას თამაში შეუმჩნეველი არც ნაკრების მწვრთნელებს დარჩენიათ და აკი სამშაბათის ვარჯიშზე ისიც გამოიძახეს. ეს ბიჭი ამბობს, კუპერის სიტყვამ ძალიან გამახარა და ვეცდები, ახლა უფრო უკეთ ვითამაშოო. გაბედავას, ახლო მომავალში ეროვნულში თუ არა, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის იმედი აქვს და ჩვენც წარმატება ვუსურვოთ.

საკუთრივ „მესხეთთან“ მატჩში კი გაბედავას გოლებს სტუმრებმა ერთით უპასუხეს.

ზუგდიდში თბილისის „დინამოს“ სტუმრობა ჩვეულებრივი ამბავი არ გეგონოთ. დრო იყო, სამეგრელოში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს გადაჭედილი ტრიბუნები და წარმატების მისაღწევად ერთი-ორად მონდომებული გუნდი მასპინძლობდა. მერე ეს ამბავი ჩაკვდა. ზუგდიდს უმაღლესში გუნდი აღარ ჰყავდა და იმიტომ...

ახლა ზუგდიდურ-თბილისური საფეხბურთო დაპირისპირება თითქოს თავიდან იწყებაო, თუმც ძველებურ ქიშპობასთან ჯერ ახლოს არ არის.

„მგლები“ — „დინამოს“ არც ამ მატჩს აკლდა სიმწვავე. ფეხბურთელები ერთმანეთშიც წაკინკლავდნენ, მავან ქომაგს მოედანზე გასეირნებაც მოუწადინებია და ფეთქებადსაშიში ვითარება ყოფილა, მაგრამ ყველაფერი მალევე ჩაცხრა და მატჩიც მშვიდობიანად ჩამთავრდა.

„დინამომ“ დავით ოდიკაძის გოლით მოიგო, მასპინძელთა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ კი ძალიან სერიოზული და საყურადღებო განცხადება გააკეთა: დღეს ჩემი გუნდის მეტოქე „დინამო“, მსაჯები და მატჩზე ამათი დამნიშნავი ერთად იყვნენო. აქ კი ერთხელაც გავიხსენოთ, რომ პროფლიგის სადისციპლინო კოდექსის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, მსაჯობაზე მკვახედ და საჯაროდ მოლაპარაკე უმკაცრესად ისჯება.

დაველოდოთ სადისციპლინო კომიტეტის სხდომას...

გორის „ქართლის“ სტადიონზე კი ცხინვალის „სპარტაკისა“ და „ზესტაფონის“ შეხვედრას თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის ქომაგი ჰყავდა, ხოლო მატჩი ფრიად თვალსასეირო იყო. მასპინძლებმა ფავორიტს გაუტანეს, დაწინაურდნენ და შემდეგაც შეეძლოთ გოლების გატანა, მაგრამ ბოლოს სტუმრებმა მაინც იძალეს. ნიკა გელაშვილმა თავისი მორიგი გოლი გაიტანა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი სამქულიანი თავური ბურთს ვეტერანმა ზურაბ იონანიძემ დაჰკრა... იონანიძე გოლამდე მოედანზე სულ ხუთი წუთის შესული იყო, მაგრამ თავისი სიტყვის სათქმელად ეს დროს იკმარა.

ტურის მთავარი მატჩი ბოლნისში იყო. „სიონმა“ „ვიტ ჯორჯია“ მიიღო და როგორც ველოდით, მაგრადაც დატანჯა. თბილისელებმა ქულის აღება შეძლეს და სამაგიეროდ, ბევრი ინერვიულეს.

არადა, თავიდან სწორედ სტუმრებმა გაიტანეს, „სიონმა“ გათანაბრება მალევე მოახერხა და მეორე ტაიმის დასაწყისშივე მეორეც გაიტანა. სანდრო იაშვილმა მცველს შეცდომა არ აპატია და გრიგოლ ბედიაშვილს ზუსტად დაურტყა.

„სიონს“ მომენტები ჰქონდა, მაგრამ ველარ გაიტანა და დაისაჯა კიდეც — სტუმრების ჩინებული კომბინაცია გიორგი ბერიაშვილმა დააგვირგვინა.

„ვიტ ჯორჯიას“ ამ სეზონში გოლები და ქულები არ აკლია, აი, „სიონი“ კი ბოლო მატჩებში მოფერიანდა და გოლებსაც მოუხშირა, რაც ქვემოქართლელთა შედეგზეც აისახა, ბოლნისელები უკვე მეხუთე ადგილზე არიან. „სიონი“ სამი ქულით ჩამორჩება „დინამოს“. „დინამო“ კი ლიდერ „ლოკომოტივთან“ ორ ქულასლა აგებს...

მოკლედ, ცხრილის თავში საკმაოდ ჩახლართული ვითარებაა და ოთხი გუნდიდან ნებისმიერს შეუძლია პირველი წრის გამარჯვებული გამოვიდეს...

ვნახოთ, რა იქნება ერთი კვირის შემდეგ.

**ქობა ინასარიძე**

ლოკომოტივი 0:2 ოლიმპი
გაგრა 3:1 მესხეთი
სპარტაკი 1:2 ზესტაფონი
მგლები 0:1 დინამო
სიონი 2:2 ვიტ ჯორჯია
*ბორჯომი ისვენებდა*

**მე-11 ტური**

15 ნოემბერი. შაბათი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
დინამო – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – მგლები
16 ნოემბერი. კვირა
ოლიმპი – სიონი
მესხეთი – სპარტაკი
*გაგრა ისვენებს*

**სიმბოლური ნაკრები**

- მათე ვაწაძე — *დინამო*
- ზურაბ იონანიძე — *ზესტაფონი*
- გიორგი ბერიაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- ბექა გოცირიძე — *ზესტაფონი*
- გიორგი გაბედავა — *გაგრა*
- ზამორა დათუნაშვილი — *გაგრა*
- ლუკა რაზმაძე — *ვიტ ჯორჯია*
- ზაალ ელიავა — *დინამო*
- დავით სვანიძე — *სიონი*
- გიორგი სეთურიძე — *ოლიმპი*
- რევაზ თევდორაძე — *გაგრა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:6 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 3 | 1 | 12:7 | 18 |
| ზესტაფონი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:5 | 17 |
| დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 |
| სიონი | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 13 |
| მგლები | 9 | 4 | 0 | 5 | 10:9 | 12 |
| გაგრა | 10 | 3 | 2 | 5 | 10:15 | 11 |
| ოლიმპი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:7 | 11 |
| ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| მესხეთი | 9 | 2 | 4 | 4 | 8:12 | 9 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 0 | 8 | 6:19 | 3 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 6 - | ალექსიძე | ლოკომოტივი |
| | ვაწაძე | დინამო |
| 5 - | გ. თოდუა | მგლები |
| | ი. კიკნაძე | ბორჯომი |
| | გელაშვილი | ზესტაფონი |
| | გაბედავა | გაგრა |
| 4 - | კოშკაძე | სიონი |

# ის მეორე ასათიანი უნდა ყოფილიყო!

## მათე ღვინიანიძემ მეორე ბუნდესლიგას გადააჭარბა



ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე საინტერესო მასალა გამოქვეყნდა მათე ღვინიანიძეზე — როგორ მოხვდა ის თავის დროზე მოსკოვის „ლოკომოტივში", ვინ ეხმარებოდა ადაპტაციაში და ასე შემდეგ. წერილიდან კულუარულ ამბებსაც გაიგებთ... ვებგვერდი „ლოკომოტივის" ერთ-ერთი მწვრთნელის, ალექსანდრ კოკორინის დამსახურებას აღნიშნავს — სამი კარგი ფეხბურთელი გაზარდა და ერთ-ერთი სწორედ ღვინიანიძეაო...

„მათე 6 წლისა იყო, როცა თბილისის „დინამოში" მიიყვანეს. ის ქუჩაში თამაშობდა მეგობრებთან ერთად და უფროსებს სჯობდა. „დინამოს" სკოლაში ის იმდენად გაიზარდა, რომ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს, ხოლო სრულწლოვანი რომ გახდა, მოსკოვის „ლოკომოტივთან" გააფორმა კონტრაქტი. იური სიომინს ქართველი ძალიან მოეწონა და 5-წლიანი ხელშეკრულებაც გაფორმდა. უნივერსალური მცველი, შესაძლოა, „მეორე ასათიანი" გამხდარიყო, მაგრამ სიომინი „ლოკომოტივიდან" წავიდა, მისი შემცვლელის პერიოდში კი ღვინიანიძემ მხოლოდ 4 მატჩი ჩაატარა და ისიც დუბლებში.

...გასაკვირი არც არის, რომ ფეხბურთელი ბედის ძებნას შეუდგა და აღმოჩნდა გერმანულ „მიუნხენ 1860"-ში, რომლის მწვრთნელმა ვალტერ შახნერმა უცებ გადაწყვიტა: „ახლავე უნდა ავიყვანოთ! ის გაგვაძლიერებს!"

...ღვინიანიძის ტრანსფერი 100 ათასი ევრო დაჯდა. შახნერს ის ძალიან მოსწონდა. მართალია, მწვრთნელი მის გვარს ვერ გამოთქვამდა, მაგრამ მათეს ეძახდა. ქართველიც გახარებული იყო, ჩემი გუნდი ვიპოვე, გერმანიის მეორე ბუნდესლიგა საკმაოდ ძლიერია და ყოველ ვარჯიშზე ახალ-ახალს ვსწავლობო.

რა სჭირდება მათეს? ერთადერთი პრობლემა მისი გუნდის ადგილია — „მიუნხენ-1860", ალბათ, ვერც წლეულს გადავა ბუნდესლიგაში, აი, ღვინიანიძემ კი მეორე ეშელონის დონეს გადააჭარბა.

...აღსანიშნავია, რომ მიუნხენში მათეს ეხმარებოდა ნემანია ვუჩიჩევიჩი, რომელიც ასევე „ლოკომოტივში" თამაშობდა, თუმც ქართველის მსგავსად, მოსკოვში კარიერა ვერ აეწყო. მაგრამ მარტო ვუჩიჩევიჩი? ღვინიანიძე ამბობს, გუნდში ყველამ კარგად მიმიღო, აქ ისე ვგრძნობ თავს, როგორც თევზი წყალში, სუპერატმოსფეროაო.

ქართველს კარგად მისდის საქმე. მას 2011 წლამდე გაუგრძელეს „მიუნხენ 1860"-თან კონტრაქტი, თუმც, სავარაუდოდ, პერსპექტიული ახალგაზრდა იქამდე გადავა ძლიერ გუნდში."

ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ ღვინიანიძეს ჯერ ერთხელაც არ უთამაშია, ექტორ რაულ კუპერის ნაკრებში და, სავარაუდოდ, რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

და კიდევ, ამ მასალიდან ისიც შევიტყვეთ, რომ მათეს გადაბირება შარშან ზაფხულს დონეცკის „შახტარს" სდომებია, წლეულს გაზაფხულზე კი მისით „ესპანიოლი" იყო დაინტერესებული, თუმც მათემ გაზაფხულზე გააგრძელა კონტრაქტი მიუნხენურ კლუბთან.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

**დილა 1:0 თბილისი**

1:0 სორდია (71)

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, გ. თარგამაძე, გ. ჩიხრაძე, სორდია, მინდიაშვილი, ანდღულაძე, თ. ბარამიძე (იჩქითი 82), ფაილოძე (ფოცხვერია 75), ებანოიძე (გ. გურეშიძე 63)

*სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი, ბ. ქარდავა, ჩერქეზიშვილი, ივანაშვილი

მწვრთელი: პაატა მეტრეველი

თბილისი: გიორგობიანი, ჭაფოძე, გ. ოდიშარია, მიქელაძე, ბელქანია, გ. გურეშიძე, ი. მოდებაძე, ზვიადაძე (ჯაში 77), კბილცეცხლაშვილი (ტორონჯაძე 73), ხოხონიშვილი, სებისკვერაძე (აფხაზავა 61)

*სათადარიგონი:* ვ. ლობჟანიძე, ნარეშელი

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: ბელქანია, სებისკვერაძე, შარანგია, დგებუაძე, ხოხონიშვილი, სორდია

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

**ჩიხურა 2:0 ვიტ ჯორჯია 2**

1:0 კობახიძე (51), 2:0 ჩიკვაიძე (90)

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, დოლონაძე (ზ. ნოზაძე 55), ი. ზაბახიძე, ჭილაძე, ბ. პეტრიაშვილი (როგავა 67), გ. ენუქიძე (ლ. ჩიკვაიძე 80), ლ. კობახიძე

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ხვედელიძე, ნ. მაჭარაშვილი, ცარციძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

ვიტ ჯორჯია 2: ა. მიქაბერიძე, ვეკუა (გ. იაშვილი 85), ადამაძე, კასრაძე, გოგიაშვილი (ღვინიაშვილი 58), გამრეკლიძე, დ. მაისაშვილი, ხურცილავა, დვალაშვილი, ი. სვანიძე, ზაქრაძე (ფურცელაძე 46)

*სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი, კახაძე, იოსელიანი, ცხოვრებაძე

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

მსაჯი: ო. ხეცაძე

150 მაყურებელი

**კახეთი 0:4 ამერი**

0:1, 0:2 ჩიმაკაძე (65, 69), 0:3, 0:4 ქებაძე (80, 87)

კახეთი: კობრიაშვილი, მ. ხიდეშელი, ხუმარაშვილი, ო. აბდულაევი, ლ. აბდულაევი (დეკანოზიშვილი 77), გენგაშვილი, კობაიძე, მელიქიშვილი, იმერლიშვილი, ი. ხუციშვილი (ბიძინაშვილი 46), ხამხაძე (ახალბედაშვილი 75)

*სათადარიგონი:* ქუფარაშვილი; ლ. ტეტიაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

ამერი: ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე (ბუმბეიშვილი 78), ლაფერაშვილი, ჩიმაკაძე (ფუტკარაძე 81), ტიკურიშვილი, ცხოვრებაშვილი (ნ. ქებაძე 46), ბენდელიანი

*სათადარიგონი:* გვენცაძე; თ. სანიკიძე, ჯინიკაშვილი, ჯ. ჯოხაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

მსაჯი: ხ. გაგნიძე

**სიონი 2 1:4 გაგრა 2**

0:1 ხელაძე (45), 0:2 ფილია (71), 0:3 მესხი (75), 0:4 ოქრიაშვილი (78), 1:4 ბუბუტეიშვილი (89)

სიონი 2: გავაშელი, იობაშვილი, ნაყოფია (გიორბელიძე 42), გ. ოქროპირიძე (ბ. ჭაველაშვილი 80), ლ. ჩხეტიანი, ქურასბედიანი, ბუბუტეიშვილი, მ. ოქროპირიძე, ალფაიძე, გინეიშვილი (ასათიანი 78), გ. გაბრიჭიძე

*სათადარიგონი:* გურგენიძე, ქობულაძე, უგულავა, ყიფშიძე

მწვთრნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაგრა 2: ა. კოტრიკაძე, მოსიაშვილი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, გედენიძე, ი. ხელაძე, ცხადაია, ფილია (ა. აბაშიძე 78), კორიფაძე, ლ. სეთურიძე (მესხი 46), დ. ჩხაიძე (ოქრიაშვილი 74)

*სათადარიგონი:* გ. ნაჭყებია, სეფიაშვილი, ჯალიაშვილი, ნ. ფანცხავა

მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე

გაფრთხილება: ქურასბედიანი

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

**დინამო 2 1:0 ნ. დინამო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 11 | 8 | 2 | 1 | 24:7 | 26 |
| ამერი | 11 | 7 | 2 | 2 | 20:7 | 23 |
| დინამო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 15:8 | 21 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 5 | 1 | 18:5 | 20 |
| დილა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:8 | 19 |
| სიონი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 16:31 | 12 |
| თბილისი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | 11 |
| გაგრა 2 | 11 | 3 | 2 | 6 | 17:23 | 11 |
| კახეთი | 11 | 2 | 2 | 7 | 6:21 | 8 |
| ნორჩი დინამო | 11 | 1 | 4 | 6 | 12:19 | 7 |
| ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | 6 |

### XIII ტური

16 ნოემბერი

ნორჩი დინამო – ჩიხურა

17 ნოემბერი

ამერი – დილა

გაგრა 2 – კახეთი

ვიტ ჯორჯია 2 – ჰერეთი

### დასავლეთი

**გურია 4:1 ჭიათურა**

0:1 სევასტოპულო (10პ), 1:1, 2:1, 3:1 ურუშაძე (33, 47, 76პ), 4:1 ტ. კუკულაძე (86)

გურია: გოგუაძე, რ. კუკულაძე, ი. ცინცაძე, იმნაძე, ჯორბენაძე (ქურიძე 34), ი. კილაძე, სულაბერიძე (მ. კოტრიკაძე 74), ხ. მგელაძე, ტ. კუკულაძე, ჯაყელი, ურუშაძე (შენირული 77)

*სათადარიგონი:* დ. ხურციძე, კეკელიძე, ს. მოდებაძე, ლ. ციკოლია

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

ჭიათურა: მოცრაძე, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, თემურ მიშველიძე, ბრუსლი, ვაშაძე (ცერცვაძე 66), სარალიძე, ნგოკო, ნ. ტყემალაძე (იობიძე 85), თემირ მიშველიძე (ტატაშიძე 85), სევასტოპულო

*სათადარიგონი:* ბითაძე, ლაშხი, ბ. მოდებაძე

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: ნგოკო, ვაშაძე, ურუშაძე, ბრუსლი, ცუცქირიძე, იმნაძე

მსაჯი: ზვ. ასკაროლლი

150 მაყურებელი

**კოლხეთი 1:2 სამტრედია**

1:0 ბაკარანძე (9პ), 1:1 კაკალაძე (67), 1:2 სუნიაევი (87)

კოლხეთი: გ. შენგელია, დ. ნარსია, ცხვიტარია, ლუსტა (გ. ციკოლია 78), ლემონჯავა (გოგნაძე 46), აბურჯანია, მ. ჩხარტიშვილი, გვალია (გვიჩია 84), გელაჭეიშვილი, ბაკარანძე, ქანდავაძე

*სათადარიგონი:* ჩემია, გ. სიჭინავა

მწვრთნელი: ნუგზარ თვარაძე

სამტრედია: ი. დ. შენგელია, გოგია, ლ. მახარაძე, გ. დარჯანია, კვესეიშვილი (სალდაძე 89), ჩომახიძე, ბაკურაძე, ოქრუაშვილი (სუნიაევი 72), ადეიშვილი, ეცადეიშვილი, მ. კაკალაძე

*სათადარიგონი:* ი. გ. შენგელია, მუკბანიანი, კეკელიძე

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: ი. დ. შენგელია, ოქრუაშვილი, ლუსტა

მსაჯი: მ. ურუშაძე

300 მაყურებელი

**ტორპედო 2008 3:1 ხობი**

1:0 დანელია (36), 2:0, 3:0 იმედაძე (54, 82), 3:1 თოდუა (90)

ტორპედო 2008: მიგინეიშვილი (კუჭუხიძე 85), ი. დარსაძე, ხარებავა, ბიბილაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, დანელია, ბესარაშვილი (მეტონიძე 85), კობერიძე, ტიელიძე (კოსტავა 74), იმედაძე, გურული

*სათადარიგონი:* ა. ქობალია, წიქორიძე, ტორაძე, ხარაბაძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ჯამბურია (ლ. თოდუა 78), ა. კვირკველია, ალანია (ლატარია 46), კ. გოგენია, ლეფსაია (მ. შონია 46), ფირცხელავა, გაგუა, ღლონტი

*სათადარიგონი:* ჭურღულია, ჩაჩიბაია, გრიგოლია, რ. ჩიტაია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: გაგუა, შონია, კობერიძე, ტიელიძე

მსაჯი: ი. ურუშაძე

200 მაყურებელი

**მეშახტე 0:2 ბაია**

0:1 წურწუმია (59), 0:2 ეხვაია (87)

მეშახტე: თორთლაძე, დონაძე, მ. ბოჭორიშვილი, გ. ქობალია, წერეთელი, ჯიშიაშვილი, ჭკუასელი, ლომთაძე (გ. გვენეტაძე 65), მაჩალაძე, გოგუა, ბ. გვეტაძე

*სათადარიგონი:* გიორგაძე, რ. კალანდაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

ბაია: ივარდავა, ზ. ექონია (მაქაცარია 34), გ. პაჭკორია, გ. ჟვანია, ძალამიძე, კუტალია (ეხვაია 69), წურწუმია, რაფავა (გუგუჩია 35), ვართაგავა, ქირია, სვირავა

*სათადარიგონი:* კვეკვესკირი, ქაშაკაშვილი, ლ. ქობალია, ლ. ქანთარია

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

გაფრთხილება: ჭკუასელი, კუტალია, გ. გვენეტაძე

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

**ბათუმი 0:2 ზესტაფონი 2**

0:1 ჭელიძე (52პ), 0:2 გორგიაშვილი (86)

ზესტაფონი 2: ო. ბოჭორიშვილი, ხიხაძე, ზ. ლობჟანიძე, ბუკია, სანტოსი, ბერუაშვილი, ბერიძე (ჩიხლაძე 78), გორგიაშვილი, ლომაშვილი (სუხიაშვილი 67), სტეფანიშვილი, გ. ჭელიძე

მწვრთნელი: გია ნადირაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 11 | 8 | 2 | 1 | 20:4 | 26 |
| სამტრედია | 11 | 7 | 1 | 3 | 20:9 | 22 |
| მერანი (მ) | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 21 |
| კოლხეთი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:7 | 20 |
| ჭიათურა | 11 | 5 | 1 | 5 | 18:15 | 16 |
| ხობი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:12 | 15 |
| ზესტაფონი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 11:15 | 14 |
| ტორპედო 2008 | 11 | 4 | 1 | 6 | 8:8 | 13 |
| გურია | 11 | 3 | 3 | 5 | 15:21 | 12 |
| ბათუმი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:21 | 9 |
| მეშახტე | 11 | 0 | 1 | 10 | 6:29 | 1 |

### XIII ტური

17 ნოემბერი

ბაია – ტორპედო 2008

ხობი – ბათუმი

ჭიათურა – კოლხეთი

სამტრედია – მეშახტე

ზესტაფონი 2 – მერანი (მ)



# დავით მუჯირი: გოლი გუნდს, ყოფილ გუნდს და მეუღლეს!

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა დავით მუჯირმა პირველი გოლი გაიტანა მოსკოვის „ლოკომოტივში“. საკმაოხნიანი პაუზის შემდეგ ათამაშებულმა „მუმუმ“ დერბიში „სპარტაკს“ მე-6 წუთზე შეუგდო და ამით თავის გუნდსაც ახეირა და თავის ყოფილ გუნდსაც — სამარის „კრილია სოვეტოვი“ ხომ ევროსაგზურისთვის სწორედ „სპარტაკს“ ებრძვის... ნამატჩევს მუჯირს „სპორტ-ექსპრესი“ ესაუბრა...**

— რა თქმა უნდა, გამარჯვება სასიამოვნოა, მაგრამ ამავდროულად, გულდასაწყვეტია ის, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავიყენეთ თავი — ახლა ყველაფერი მხოლოდ ჩვენს ხელთ აღარ არის, გუნდს უეფას თასზე მოხვედრის თეორიული შანსი აქვს. მიუხედავად ამისა, „დინამოსთან“ მატჩის შემდეგაც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, დარჩენილ შეხვედრებში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ძალიან მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, შეძელით დერბის მოგება.

— მატჩისას გქონდათ შეგრძნება, რომ თქვენი გოლი ერთადერთი იქნებოდა?

— თამაშისას ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი. ცხადია, გოლის გატანა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი შედეგია. კარგია, რომ სამი ქულის მოპოვება მოვახერხეთ. სწრაფი გოლი გავიტანეთ და უპირატესობა მოვიპოვეთ. ამის შემდეგ ჩვენი კარის უსაფრთხოებაზე უნდა გვეზრუნა და კონტრშეტევების გამოყენებასაც ვცდილობდით. ვიცი, რომ უეფას თასის საგზურისთვის ჩემი ყოფილი კლუბი „კრილია სოვეტოვიც“ იბრძვის და ჩვენზე მეტი შანსიც აქვს. კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი გოლით „ლოკომოტივსაც“ დავეხმარე და „კრილიასაც“.

— გოლი ძალიან ემოციურად იზეიმეთ. ვის მიუძღვენით?

— მეუღლეს. მატჩის წინ მას ვესაუბრე და ისე გამოვიდა, რომ უკვე მე-6 წუთზე გავიტანე მისთვის.

— ეს გოლი „სპარტაკის“ დაცვის შეცდომის შედეგია?

— მატჩი კარგად დავიწყეთ, კომბინაცია გავითამაშეთ... მართალია, ოდემვინგის გადაცემის შემდეგ ბურთი ჩემთან რალაცნაირად აღმოჩნდა, მაგრამ თუ არ შეუტიე და არ მოინდომე, ბურთს, უბრალოდ, ვერ მიიღებ.

— ახლა რისი იმედი აქვს „ლოკომოტივს“?

— როგორც ვიცი, ევროთასებზე მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა. ამის განსჯა და ქულების თვლა ჩემი საქმე არ არის. ფეხბურთელის ამოცანა მოედანზე გასვლა და მოგებაა. არაფრის შანსიც რომ არ გვქონდეს, მაინც გამარჯვებისთვის ვითამაშებდით ყველა მატჩში.

— რა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ „ლოკომოტივმა“ უეფას თასზე ითამაშოს?

— ალბათ სასწაული. ეს ყველაფერი რამდენიმე გუნდის თამაშზეა დამოკიდებული. თუკი სასწაული მოხდება, ძალიან გავიხარებთ, ისე კი, მხოლოდ ის დაგვრჩენია, ბოლომდე ვიბრძოლოთ.

— თუ გქონდათ გაცნობიერებული, რომ ეს შეხვედრა მეტად პრინციპული იყო თქვენი მწვრთნელისთვის?

— არა, ამაზე არც მიფიქრია. ეს თამაში, უპირველესად, ჩემთვის იყო პრინციპული, რადგან მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გავატარე. მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ის ფეხბურთელი ვარ, რომელიც მოედანზე რაღაცას ქმნის და „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებს.

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლეჩე 1:1 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 3 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | ს | ტორინო 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 1 | 10 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ჩელსი 0:2 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ბაიერნი 1:2 | 90 | | 9 | 0 | 6 |
| ლევან ყენია | შალკე | შ | ბაიერნი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ლევერკუზენი 3:3 | 29 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 10 | 1 | 15 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | ობერჰაუზენი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 8 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | შ | ფიურტი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 15 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | შ | ზტ. პაული — წუხელ | 0 | | 1 | 0 | |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | შ | კაპფენბერგი 2:0 | 90 | | 15 | 0 | 3 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | შ | კაპფენბერგი 2:0 | 90 | | 15 | 0 | 3 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბუალავა | ა. ლუშტენაუ | შ | ადმირა 0:1 | 0 | | 4 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 1:0 | 90 | 1 გოლი | 11 | 1 | 8 |
| დავით კვირკველია | რუბინი | შ | ტერეკი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 24 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ტერეკი 1:3 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ტერეკი 1:3 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | კრილია 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 21 | 1 | 11 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | ს | კრილია 0:2 | 90 | | 26 | 3 | 11 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | ს | კრილია 0:2 | 90 | | 25 | 4 | 11 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | ს | დინამო 0:2 | 90 | | 25 | 2 | 15 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | შ | ლვოვი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 1 |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ლვოვი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ლვოვი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | ლვოვი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | შახტარი 0:2 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 1 | 14 |
| ლადო ბურდული | ტავრია | შ | შახტარი 0:2 | 0 | | 2 | 0 | 14 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | შ | ილიჩევეცი 2:1 | 90 | | 10 | 1 | 8 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | შ | ვორსკლა 0:1 | 0 | | 9 | 0 | 10 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | ხარკოვი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | ხარკოვი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ბექა ბერაშვილი | დნიპრო | ს | ხარკოვი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| სანდრო გურული | კარპატი | შ | არსენალი 3:2 | 90 | 1 გოლი | 6 | 1 | 9 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | კრივბასი 3:1 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | ბანიკი 0:2 | 0 | | 1 | 0 | 3 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | ს | ბრნო 2:1 | 0 | | 10 | 1 | 9 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | შ | ჟილინა 0:2 | 70 | შეცვალეს | 15 | 2 | 10 |
| მირიან ქითავა | ტატრანი | ს | ბისტრიცა 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | შ | გრასჰოპერი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | ს | ჰორსენსი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **დანია. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ლიუნგბიუ 3:2 | 90 | | 10 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლი გამძვინვარდა



**პოლ ინსი** და რეი უილკინსი ერთმანეთს გვარიანად გაუბრაზდნენ. მიზეზი: „ბლექბერნ როვერსის" თავკაცი ინსი, „ჩელსის" მეორე მწვრთნელის, უილკინსის ერთმა გამონათქვამმა აღაშფოთა. კერძოდ, უილკინსმა განაცხადა, ეგ „ბლექბერნი" რაღაც ზედმეტად ძალისმიერი გუნდიაო — მეტოქეთა საკვირაო შეხვედრა ლონდონელთა 2:0 გამარჯვებით დასრულდა.

უილკინსის მოსაზრებას ინსმა ზრდილობის ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშე, ნაგავი უწოდა. ის განრისხებული გახლდათ: „მე თავად გახლდით ძალისმიერი სტილის ფეხბურთელი, მაგრამ მგონი, ყველა გუნდი, რომელსაც სათავეში ჩავდგომივარ, კარგ ფეხბურთს თამაშობდა და თამაშობს. უილკინსის მხრიდან, თამაშის წინ ასეთი ნაგვის თქმა საკუთარი ფეხბურთელების გასამხნევებლად (ეს აზრი ინსმა უფრო უხეშად გამოთქვა) იყო ჩაფიქრებული. მან თქვა, რომ ჩვენ ზედმეტად ძალისმიერნი ვართ, მაგრამ ხომ ნახეთ, დღეს მსგავსი არაფერი ყოფილა. დღეს ჩვენ სოლიდური ფეხბურთი ვითამაშეთ. მინდა უილკინსს ვურჩიო და როცა კიდევ შევხვდები, ამას პირშიც ვეტყვი, რომ მომავალში, სანამ რაიმეს თქმას კიდევ დააპირებს, ჯერ ფაქტები მოიმარაგოს".

აღსანიშნავია, რომ ინსსა და უილკინსს შელაპარაკება შეხვედრის დამთავრების შემდეგ, მოედნის კიდესთანაც მოუვიდათ.

კერძოდ კი, უილკინსმა მატჩის წინ ასეთი რამ თქვა: „ჩვენ აგრესიული თამაშისთვის უნდა ვიყოთ მზად, რადგან, რაც პოლი სათავეში ჩაუდგა, „ბლექბერნი" სწორედ ასე თამაშობს".

„ბლექბერნის" ძლევით რეი უილკინსი იმიტომაც გახლდათ გახარებული, რომ ამ დღეს, 9 ნოემბერს, მის შეფს, „ჩელსის" ბრაზილიელ თავკაც ლუიშ ფელიპე სკოლარის 60 წელი შეუსრულდა და გუნდმა მას სამქულიანი საჩუქარი მიართვა.

**ბაკუნა ძიდია**

# პინიმ თუ ჩაიფიქრა... პორტსმუთს ახალი სისხლი არ ასცდება



პინი ზაჰავი



ავრაამ გრანტი

**საფეხბურთო** სუპერაგენტი ისრაელიდან, პინი ზაჰავი, რომელიც მსოფლიოში დატრიალებულ გარიგებათა უდიდესი ნაწილის სული და გულია, ახლა ინგლისურ კლუბს, „პორტსმუთს" მიდგომია და მისთვის პატრონს ეძებს.

ამბობენ, ამ საქმესთან დაკავშირებული კომბინაციებიდან ისე გამოდის, რომ საბოლოოდ პორტსმუთელებს სპორტულ საქმეთა დირექტორად შესაძლოა, ავრაამ გრანტი მოევლინოს, მწვრთნელად კი სლავენ ბილიჩიო. თავად ზაჰავი 65 წლისაა, ხოლო „პორტსმუთის" სავარაუდო მყიდველი სამხრეთაფრიკული კომპანია გახლავთ.

სხვათა შორის, სუპერაგენტი თავიდან ჟურნალისტი იყო, შემდეგ კი პროფილი იცვალა და კვაჭური ნიჭის წყალობით 60 მილიონად შეფასებული ქონება დააგროვა. ის ბევრ ცნობილ ფეხბურთელს, მაგალითად, რიო ფერდინანდს წარმოადგენს, „პორტსმუთთან" კი ასეთი კავშირი აქვს: ამ ინგლისური კლუბის პატრონი, საშა გაიდამაკი მისი ძმაკაცია. 2006 წელს გაიდამაკს „პორტსმუთი" სწორედ მან აყიდინა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, დღეს გაიდამაკს პრემიერლიგიდან წასვლა სურს და ზაჰავიც მიდგა-მოდგა. ის ეძებს დაინტერესებულ პირს, რომელიც კლუბსაც იყიდის და მასთან ერთად, ამ კლუბის ვალებსაც.

ზაჰავი შეხვდა თავის ოდინდელ მეგობარსა და „ჩელსის" ყოფილ მწვრთნელ ავრაამ გრანტს, რათა ის კვლავ „პორტსმუთის" საფეხბურთო საქმეთა დირექტორობაზე დაიყოლიოს — „სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლამდე გრანტი სწორედ ამ საქმით გახლდათ დაკავებული. ცნობილია, რომ მაშინ გრანტმა საუცხოო ურთიერთობაააწყო პორტსმუთელთა დღევანდელ თავკაც ტონი ადამსთან, მაგრამ ზაჰავის გულში მისი გაშვება და ხორვატიის ნაკრების თავკაცის, სლავენ ბილიჩის მოყვანა ჰქონია ამოჭრილი.

„მე ძალიან მიყვარს პრემიერლიგა და, რასაკვირველია, იქ დაბრუნება მსურს, მით უფრო, რომ ამ სამყაროში პროფესიულ დონეზე მიმუშავია და მასთან საუცხოო მოგონებები მაკავშირებს. მე ნებისმიერ გამოწვევას მივიღებ, რადგან გამოწვევები მიტაცებს" — თქვა გრანტმა, ინგლისელმა ჟურნალისტებმა კი შეიტყვეს, რომ „პორტსმუთის" შტაბში ზაჰავის გეგმას ფრთხილად შეხვდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ მეორე მწვრთნელის, ჯო ჯორდანის გუნდიდან წასვლა (შაბათის ამბავია) ამ საქმესთან არანაირად არ არის დაკავშირებული. ის ჰარი რედნაპის მეგობარია და სავარაუდოდ, ცოტა ხანში, სწორედ რედნაპთან, „ტოტენჰემ ჰოთსპურში" ამოჰყოფს თავს.

ადამსს კი თანაშემწედ ყოფილი არსენალელი თანაგუნდელის, მარტინ კიოუნის მიყვანა უნდოდა, მაგრამ მან უარი შემოუთვალა. ამბობენ, ის ბრწყინვალე ჰოლანდიელს, დენის ბერგკამპსაც დაუკავშირდაო. ყოველ შემთხვევაში, თავის ხალხს ამ კვირაში დაასახელებს.

**ბაკუნა ძიდია**



რობინიო



მარკ ჰიუზი

# ჰიუზის საქმე წასულიაო

**„მანჩესტერ სიტის"** მწვრთნელი მარკ ჰიუზი თანამდებობის შენარჩუნებას ცდილობს. უხეირო შედეგები უხეირო შედეგებად და, მისი მეთოდებით „სიტის" ბრაზილიელი ვარსკვლავები ყოფილან უკმაყოფილო.

„რობი ერთ-ერთი უძლიერესია იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც ოდესმე მინახავს" — თქვა რობინიოზე რამდენიმე დღის წინ ჰიუზმა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მოგეხსენებათ, კვირას მანჩესტერელებმა შინ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" 1:2 წააგეს და, როგორც ინგლისური ტაბლოიდებისთვის გახდა ცნობილი, მწვრთნელის შემცვლელზე კლუბის უმდიდრესი არაბი მეპატრონეებიც დაფიქრდნენ. არ არის გამორიცხული, უელსელი იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გაღებამდეც მოიშორონ თავიდან.

ბრაზილიელები კი, თურმე, ყველაზე მეტად გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას. ლაპარაკია სამ კაცზე, 35 მილიონ გირვანქად ნაყიდ, ზემოხსენებულ რობინიოზე, ელანოსა და ჟოზე.

აქა-იქ, ჰიუზის შესაძლო შემცვლელად თვით ჟოზე მაურინიუ დაასახელეს, მაგრამ კაცი „ინტერში" სულ რამდენიმე თვის მისულია და მისი იქიდან ახლავე წამოყვანა არასერიოზულ ჩანაფიქრად ჩანს.

აღსანიშნავია, რომ „სფურზთან" თამაშამდე ჰიუზი კლუბის შეფებს შეხვდა და სატრანსფერო საკითხებზე ელაპარაკა, მაგრამ გაირკვა, რომ მას და არაბებს „სიტის" მომავალზე სხვადასხვანაირი წარმოდგენა აქვთ. მაგალითად, ჰიუზი „ბლექბერნიდან" როკე სანტა კრუზის გადაბირებაზე ფიქრობს, არაბებისთვის კი სანტა კრუზი მეტისმეტად დაბალი ვარსკვლავური დონეა.

თავად ჰიუზმა ეს ამბავი ასე მოყვა: „თავმჯდომარე გუშინ სახლში მესტუმრა და მიამბო, თუ რა მიმართულებით აპირებს კლუბის განვითარებას. ეს ძალიან სასიამოვნო საუბარი იყო".

მაგრამ, გამოჩნდნენ თავმჯდომარესა და კლუბის მეპატრონეებთან დაახლოვებული ადამიანები, რომელთაც ჟურნალისტებს ასე უთხრეს: „ჰიუზი თანამდებობაზე დიდხანს ველარ გაჩერდება. მეტიც, მას კვირას „ტოტენჰემი" რომც დაემარცხებინა, ამით არაფერი შეიცვლებოდა, დამარცხებამ კი ის კედელთან მიაყენა".

გაგდების კანდიდატია აღმასრულებელი თავმჯდომარე გერი კუკიც. საქმე ის გახლავთ, რომ ერთი ხნის წინ არაბებმა აღმოაჩინეს, რომ ამ კაცის ჯამაგირი წელიწადში 1,5 მილიონი გირვანქაა. ასეთი ხელფასი პრემიერლიგაში მომუშავე ადმინისტრატორთაგან ბევრს როდი აქვს.

**ბაკუნა ძიდია**

## მეთოფეთა ხელფასები და კონტრაქტები

**ინგლისური** ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი თეო უოლკოტი უახლოეს მომავალში ლონდონის „არსენალის" ხელმძღვანელობასთან ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით მოლაპარაკებას დაიწყებს. სავარაუდოდ, ახალი ხელშეკრულებით თეოს ყოველკვირეული ხელფასი გაორმაგდება და 60 ათას გირვანქას შეადგენს. „მეთოფეებთან" ახალი, 4-წლიანი ხელშეკრულების დადებას რობინ ვან პერსიც აპირებს. ამასთან ჯამაგირის გაორმაგება ჰოლანდიელსაც სურს — დღეს მისი გასამრჯელო 40 ათას გირვანქას შეადგენს.

## ჩელსი სტემფორდ ბრიჯს არ ღალატობს

**ლონდონის** „ჩელსის" პრესსამსახურმა უარყო გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომ „არისტოკრატები" „სტემფორდ ბრიჯის" დატოვებას აპირებენ და მომავალში საშინაო შეხვედრებს ბეტერსის რაიონში არსებულ არენაზე ჩაატარებენ.

„ჩელსი" ბეტერსიში გადაბარგებას არ აპირებს. ჩვენი კლუბი ლონდონის სხვადასხვა პრესტიჟულ რაიონებში უკვე არაერთხელ „გაამგზავრეს". ამ საკითხთან დაკავშირებით „ჩელსის" პოზიცია საკმაოდ გამჭვირვალეა: კლუბი საკუთარი არენიდან გადაბარგებას იქამდე არ დააპირებს, სანამ „სტემფორდ ბრიჯის" გაფართოების შესაძლებლობა არ მოისპობა" — ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

**არჩილ ძოწახიძე**

# უცნაური ჰიკს-ჯილეტობანა






** იცით,** რაფა ბენიტესი როდის დაწყნარდება? როდის და, როდესაც „ლივერპულთან“ ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს. ახალი ხელშეკრულების თანახმად, მერსისაიდელთა ესპანელმა თავკაცმა წელიწადში 5 მილიონი გირვანქა უნდა მიიღოს.

ბოლო ხანს ბენიტესის ახალი კონტრაქტის თემა ინგლისში მეტად და მეტად პოპულარული ხდება. საქმე ასეა: ერთი შეხედვით, ბენიტესს „ლივერპულთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებაში როგორ შეიძლება ვინმემ ხელი შეუშალოს, გარედან ეს ხომ ავტომატური საკითხი ჩანს, მეორე მხრივ კი, როგორც ჩანს, ინგლისური გუნდის ამერიკელი პატრონები, ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი არ ჩქარობენ... ყოველ შემთხვევაში აქამდე ისინი ნამდვილად არ ჩქარობდნენ, ახლა კი, როგორც ამბობენ, ესპანელთან კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტეს, მაგრამ ახალ ხელშეკრულებაში ერთი პუნქტის ჩამატება უნდათ. ეს პუნქტი მწვრთნელსა და მათ შორის აზრთა სხვადასხვაობას უნდა არეგულირებდეს.

კონკრეტულად, მისტერ ჯილეტს ბენიტესისთვის ჟურნალისტებთან (ესე იგი, საზოგადოებასთან) კლუბის პოლიტიკის შესახებ საუბრის აკრძალვა სდომებია. გეხსომებათ, დაახლოებით ერთი წლის წინ მწვრთნელის გულწრფელმა შეხედულებებმა კინაღამ მისი მერსისაიდიდან წასვლა გამოიწვია, მაგრამ საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა და ამერიკელებმა ბენიტესში მათი გუნდის ნამდვილი ხელმძღვანელი და პატრიოტი დაინახეს.

დღეს „ლივერპულის“ ცხოვრებაში ჩახედული მიმომხილველები ამბობენ, რომ რაკი „ენფილდ როუდზე“ საკონტრაქტო საკითხების განხილვა დაიწყეს, ესე იგი ბენიტესსა და ჰიკს-ჯილეტის წყვილს შორის ურთიერთობა დათბა, თუმცა არიან ცინიკოსებიც, რომლებსაც დაუჩემებიათ, აგერ ნახავთ, სანამ ბენიტესი ახალ კონტრაქტს ხელს მოაწერს, „იანკები“ „ლივერპულს“ გაყიდიან და ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, „გოუ ჰოუმს“ გააკეთებენო.

ერთი სიტყვით, დღევანდელი სურათი ასეთია: „ლივერპულის“ მეპატრონეებს წამოცდათ, ბენიტესთან ახალი კონტრაქტი გვინდაო, მაგრამ რეალურად ჯერ მაინც არ აჩქარებულან, მწვრთნელს კი მოუთმენლობა შეყრია, საქმეს დაჩქარება სჭირდებაო. ვიმეორებთ, ლაპარაკია წელიწადში 5-მილიონიან კონტრაქტზე. ხანგრძლივობა — 4 წელი.

„ლივერპულის“ თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი:

„ორი აზრი არ არსებობს, ბენიტესის ნაირი მწვრთნელი ცხოვრებაში არ მინახავს. ის ფეხბურთელის შესაძლებლობათა ბოლო წვეთსაც წურავს“.

**პაპუნა ძიძია**

# არისტოკრატი ანრი?

**ესპანური** „ბარსელონას“ თავდამსხმელი ტიერი ანრი, შესაძლოა, უკვე იანვარში ლონდონის „ჩელსიში“ აღმოჩნდეს. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდის სატრანსფერო ღირებულება დაახლოებით 5 მილიონ გირვანქას შეადგენს. შეგახსენებთ, რომ „არისტოკრატთა“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი კლუბის დაფინანსების შემცირებას აპირებს და ლუიშ ფელიპე სკოლარის იანვარში საკმაოდ მოკრძალებულ თანხას გამოუყოფს დასახარჯად.

# ალოფსმა დიეგო და იუვენტუსი უარყო

**ბრემენის** „ვერდერის“ სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს „მუსიკოსთა“ ნახევარმცველი დიეგო იანვარში ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლას აპირებდეს.

„ტურინული კლუბის ხელმძღვანელობას ვესაუბრე და მათ დამარწმუნეს, რომ ჩვენი ფეხბურთელით დაინტერესებულნი არ არიან — განაცხადა ბუნდესნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა — დიეგოს „ვერდერთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და არა მგონია, კლუბი ვადაზე ადრე დატოვოს“.

# რამეს და ვალვერდეს ოლიმპა შეცვლის

**ფრანგული** „ბორდოს“ მეკარემ მატიე ვალვერდემ საფრანგეთის ჩემპიონატში „ოსერთან“ შეხვედრისას თავის ტრავმა მიიღო, რის გამოც, სულ მცირე, ერთი კვირა ჰოსპიტალში მოუწევს ყოფნა. კარის 25 წლის დარაჯმა დაზიანება ზემოხსენებული მატჩის პირველი ტაიმის ბოლოს მეტოქე გუნდის თავდამსხმელთან შეტაკებისას მიიღო. ასე რომ, ჟირონდელებს ამ ინციდენტის შედეგად კლუბის მეორე გოლკიპერიც გამოაკლდათ. ძირითადი მეკარე ულრიშ რამე ამჟამად რეაბილიტაციას გადის. აქედან გამომდინარე, უახლოეს მატჩებში მათ ადგილს 20 წლის კევინ ოლიმპა დაიკავებს.

**არჩილ ძოწახიძე**

# ლემანი გაოგნებულია



**„შტუტგარტის“** ვეტერანი იენს ლემანი ბუნდესლიგის მსაჯებით უკმაყოფილოა. 39 წლის გოლკიპერმა, ვინც ინგლისიდან სამშობლოში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა, კვირას „აინტრახტი“ — „შტუტგარტის“ მატჩში ყვითელი ბარათი მიიღო. ლემანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისში მსაჯობა გაცილებით კვალიფიციურია, ვიდრე გერმანიაში.

„ამ ბოლო დროს მსაჯების შეცდომებით არამარტო მე, არამედ მთელი გუნდია გაოგნებული“ — განაცხადა ლემანმა, რომელსაც ბუნდესლიგაში უკვე მესამე გაფრთხილება მოუგროვდა. მან გაიხსენა ეპიზოდი, როდესაც მსაჯმა დააჯარიმა:

„ფრანკფურტელი ფეხბურთელი დაშავდა. ამასთან, სწრაფი კონტრშეტევის განვითარების შანსი მოგვეცა. ამიტომაც ავჩქარდი. მსაჯი მოვიდა და მითხრა, ჯარიმა იყო, ნუ ჩქარობო. მასთან მივვარდი და ცოტა მაღალი ტონით ვუთხარი: „შეხედე! ის დგება!“ ამის გაგონებაზე მსაჯი განრისხდა და გამაფრთხილა. ვაღიარებ, თამაში უნდა შემეჩერებინა, რის გამოც ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვფიქრობ, ყვითელი ზედმეტი იყო. ასეთ მნიშვნელოვან თამაშებში ცუდი მსაჯობა ბუნდესლიგას კარგს არაფერს მოუტანს“.

ცნობისთვის: მსაჯი, რომელზეც გერმანელი საუბრობს, ბაბაქ რაფატი გახლავთ. მან „აინტრახტის“ ფორვარდ ნიკოს ლიბეროპულოსს მეტად საეჭვო გოლი ჩაუთვალა. 84-ე წუთზე კი თავდამსხმელ ბენიამინ კიოლერს გატანილი გოლი ასისტენტთან საუბრის შემდეგ გაუუქმა.

სამ წუთში კი, მარიო გომესმა გამათანაბრებელი შეაგდო...

**გაგა ლობჟანიძე**

# ფეხბურთთან დაკავშირებული მკვლელობა


ემილი ბენი მაკარტისთან ერთად

**კვირას** ინგლისში ტრაგედია დატრიალდა: ბოლტონში, საკუთარ სახლში, წვეულებისას, დანით მოკლეს 19 წლის ემილი ბარნსი.

რით იყო ცნობილი მის ბარნსი და რატომ მოხვდა ის ჩვენი სპორტული გაზეთის გვერდზე? იმიტომ, რომ ის „ბლექბერნ როვერსის“ 31 წლის ფეხბურთელის, ბენი მაკარტის ყოფილი გელფრენდი გახლდათ და საერთოდაც, დიდი მხიარულებით გამოირჩეოდა.

როგორც ემილის ნაცნობ-მეგობრები ამბობენ, ის მაკარტის გარდა ბევრ სხვა ფეხბურთელსაც იცნობდა და როგორც ჩანს, მათ ნაწილთან ინტიმური ურთიერთობაც ჰქონია, ზოგადად კი, ის ნებისმიერი კამპანიის სული და გული ყოფილა და ხშირად წვეულებები მისი მეცადინეობით იმართებოდა.

ემილი ბარნსის ხსოვნისადმი მიძღვნილ „პატივისცემის ფურცელზე“ (ასეთი რამ ინგლისში წესად აქვთ) 200 ახლობელ-მეგობრის ხელმოწერას შორის „ვესტ ბრომვიჩის“ 21 წლის თავდამსხმელის, ისმაილ მილერის ხელმოწერაცაა.

სამწუხაროდ, ტრაგედიის ადგილას გამოძახებული სასწრაფო დახმარების ექიმებმა ემილის ველარაფერი უშველეს, პოლიციელებმა კი, რამდენიმე საათში, 100 მილის მოშორებით, ვესტ მიდლენდში, სავარაუდოდ წვეულებიდან გაქცეული 21 წლის ახალგაზრდა დაიჭირეს.

| 11724 | ალმერია-ვალეკანო | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11730 | ლიონი-მეცი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11731 | ლე ავრი-რენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11732 | პსჟ-ნანსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11715 | ოსასუნა-ხეტაფე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

ხელბურთი

# ქართული ხელბურთი ჭაობიდან იყურება

## გაუწვდის ვინმე ხელს?



წლეულს ქართულ ხელბურთში დატრიალებულ ამბებს, რბილად რომ ვთქვათ, სახარბიელო ნამდვილად არ ჰქვია. იანვარში მოგებული „ჩელენჯ ტროფის“ შემდეგ ცუდი ამბები ერთმანეთს მიეწყო და სამწუხაროდ, დასასრული ჯერაც არ უჩანს. ნაკრები მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე მოუმზადებლად წავიდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ველარ თამაშობს და ეს კი არა, ელემენტარულად ერთი შეკრების გავლაც სანატრელი გაუხდა. ამას დაუმატეთ ორჯერ გადადებული საქართველოს ჩემპიონატი და ეროვნული პირველობის დაწყების თარიღად ბოლოს ნათქვამი 11 ნოემბერიც სათუო ჩანს. ფედერაცია საბოლოო პასუხს ვერ ამბობს, თუ როდის დაიწყება ჩემპიონატი... ამასობაში ნაკრებს თვის მიწურულს პოლონეთში გასამართი ოთხთა ტურნირი კარზე მოადგა და ისიც არ არის გარკვეული, რამდენიმე დღით მაინც თუ მოხერხდება ბიჭების თავმოყრა. გუშინ ნაკრების თავკაც **იმედო ფხაკაძეს** შევეხმიანეთ და მოახლოებულ ტურნეზეც ვკითხეთ და ცხადია, სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც გადავწვდით...

— არც კი ვიცი, ღირს თუ არა ნაკრებსა და პოლონეთის ტურნირზე ვისაუბრო, რადგან გადაწყვეტილი არ მაქვს, წავალ თუ არა პოლონეთში. მთელი წელი ვიხვეწები, რომ ნაკრებისთვის ერთი შეკრება მოხერხებულიყო და ამას ვერ მივაღწიე!

სასეირნოდ ნაკრებს ნამდვილად ვერ გავყვები. არ მინდა იქ 10-15 ბურთით წავაგოთ და შევრცხვეთ. ელემენტარულს ვითხოვდი. განა ასეთი ძნელი იყო, ჩემპიონატში მოთამაშე ბიჭები შეგვეკრიბა და 2 საათით ევარჯიშათ?!

დარბაზის გამოყოფა ვერ მოხერხდა. როგორ შეიძლება ნაკრები ამდენი ხნის მანძილზე ერთხელ ვერ შეიკრიბოს. მესმის, რომ ლეგიონერების ჩამოყვანა ჭირს, მაგრამ აქ მოთამაშე ბიჭების ვარჯიში ხომ შეიძლებოდა. თუ ბიჭებმა ერთად არ ივარჯიშეს, რჩევები არ მივეცი, კომბინაციები არ დავხვეწეთ, ისე რა გამოვა?!

თავის დროზე ნაკრების მწვრთნელობას რომ დავთანხმდი, მაშინ მითხრეს, რომ ჩემი დახმარება სჭირდებოდათ. მეც გადავწყვიტე, პასუხისმგებლობა ამეღო, გეგმაც მქონდა, თუმცა, როგორც ვთქვი, თითქმის ვერაფერი შესრულდა.

— ანუ, ნაკრების მწვრთნელობაზე უარს იტყვით?

— ალბათ არა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს. უახლოეს დღეებში აღმასკომი შეიკრიბება და იქ ვიმსჯელებთ. თუ ახლა მაინც დაისახა რეალური გეგმა და მისი განხორციელების პირობა მომცეს, მაშინ დავრჩები. ისე კი რა აზრი აქვს? არის იმის შანსი, რომ „ჩელენჯ ტროფის“ გამარჯვებულიც გავიდეს ოთხი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ეს მშვენიერი შანსია, მაგრამ მუშაობაა საჭირო და არა ასეთი მიდგომა, როგორიც ახლაა.

— თუ წახვალთ პოლონეთში, რას აპირებთ, რამდენიმე დღით მაინც მოხერხდება ნაკრების შეკრება?

— არ ვიცი. გვეუბნებიან, რომ 10-დღიან შეკრებას გავივლით, მაგრამ ესეც საეჭვოა. ან ეს 10 დღე რას მოგვცემს? ლეგიონერების ნაწილი, ვინც ნაკრების წამყვან ძალას წარმოადგენს, აქ ჩამოსვლას ვერც მოახერხებს და პირდაპირ პოლონეთში შემოგვიერთდება. ვინც მოახერხებს, 3-4 დღით ადრე ჩამოვა, რაც ბევრს არაფერს მოგვცემს. რა უნდა მოვასწროთ ამ დროში?! ვიღაცამ შეიძლება თქვას, იქ მეორე ნაკრებებს უნდა ვეთამაშოთ, მაგრამ გერმანიის და ნორვეგიის მეორე ნაკრებებთან თამაში სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის.

აქ მოთამაშე ბიჭებს ვარჯიში და თეორიული მეცადინეობა აკლიათ. აღარაფერს ვამბობ სათამაშო პრაქტიკაზე. თუ ერთად არ ითამაშა ნაკრებმა და შეთამაშდა, ისე არაფერი გამოვა. თან, ვარჯიში და მითითებების მიცემა ლეგიონერებსაც სჭირდებათ. სერგო დათუკაშვილი ნამდვილი პროფესიონალია, ვოვა რუსიაც კარგი ბიჭია. რატი მსხვილიძე და რეზო ჭანტურიასაც უნდათ დარიგება. მე კი ამის საშუალება არ მომეცა. უკმაყოფილო ჯერ კიდევ ზაფხულში ვიყავი, როდესაც ნაკრები მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე წავიდა. მაშინ შეკრების მოწყობას ვითხოვდი და ვერ მოხერხდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ნაკრებს იტალიაში არ გავყევი. მაშინ ეს ამბავი არ გახმაურდა და ჩემი ავადმყოფობა დასახელდა მიზეზად. კი, მართალია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები მქონდა, მაგრამ წაუსვლელობის მთავარი მიზეზი სწორედ შეკრების გაუვლელობა იყო. მე ვენეციაში სასეირნოდ ვერ წავიდოდი. ამის მერე მეორედ მთხოვეს, რომ ნაკრებს ვჭირდებოდი. ვიფიქრე, ახლა მაინც მოხერხდებოდა ნაკრების შეკრება და ამიტომ დავრჩი. თუმცა...

— გამოდის, რომ უკვე ზაფხულში თქვით უარი ნაკრების მწვრთნელობაზე?

— კი, მაგრამ თხოვნის შემდეგ, ისევ დავრჩი. სხვათა შორის, რამდენი ხანია ხელფასიც არ ამიღია, თუმც ამის გამო არავინ შემიწუხებია და არც არაფერს ვითხოვ: იმის გამო რომ ვერ ვმუშაობდი, პრეტენზიაც არ მაქვს. რასაც ვითხოვდი, ელემენტარული პირობები იყო, რომ ნაკრებს ეთამაშა და ევარჯიშა.

— ხელფასი რამდენი ხანია არ აგიღიათ?

— იანვარში „ჩელენჯ ტროფი“ რომ მოვიგეთ, ამის მერე მხოლოდ ორჯერ ავიღე.

— ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ვერ ითამაშა. ამ საკითხზე ბევრი მოსაზრება გამოითქვა. თქვენი პოზიცია მაშინ მკაფიო იყო: იმის გამო, რომ ნაკრები შეჯიბრს მოუმზადებლად ხვდებოდა, თამაშს აზრი არ ჰქონდა. „სარბიელი“ ნაკრების წამყვან მოთამაშეებს ესაუბრა და მათი აზრი ცალხაზა იყო, ასეთ პირობებშიც კი აუცილებლად უნდა გვეთამაშა. ამაზე რას იტყვით?

— მიხარია, რომ ბიჭები ასე ფიქრობენ. მოთამაშეები არიან და ნაკრების სახელით წარმატების მოპოვება და ბოლომდე დახარჯვა უნდათ. დარწმუნებული ვარ, ახლაც პოლონეთში ყველა თავს დადებს და ბოლომდე დაიხარჯება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სათანადოდ მომზადებული ვერ იქნება. მაგრამ მე მწვრთნელი ვარ და ჩემი პოზიციიდან ვლაპარაკობ. ნაკრები შესარჩევს ყოველგვარი მომზადების გარეშე ხვდებოდა და ასე თამაშს აზრი არ ჰქონდა. შევრცხვებოდით და ეს ძალიან არ მინდოდა.

— კეთილი, ახლა რას აპირებთ?

— როგორც ვთქვი, აღმასკომის სხდომას დაველოდები და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ. თუ პირობები არ იქნა, ისე მუშაობას აზრი არ აქვს. იმედია, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება. ვნახოთ...

**ლევან მაისურაძე**

რაგბი



# რუსეთთან ომი ნეიტრალურზე

## ნაკრები ალბიონზე

**გუშინ** ღამით, საქართველოს სარაგბო ნაკრები შოტლანდიაში გაემგზავრა. „ბორჯღალოსნები“ ედინბურგში დაბანაკდებიან. ჩვენები 14 იანვარს გლაზგოში ითამაშებენ შოტლანდიის A ნაკრებთან, ხოლო 18 იანვარს ედინბურგის კლუბების ნაკრებს დაუპირისპირდებიან. გუნდს თან ახლავს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, რომელიც ამ ბრიტანული ვოიაჟის დროს იქაური სარაგბო ბაზრის მისადგომების მონახვას ეცდება, ასევე რაგბის კავშირის პრეზიდენტი და სამწვრთნელო შტაბი 2008-09 წლების გეგმების დაწვრილებით გაწერასაც აპირებენ.

„სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის, საქართველოს საშოტლანდიო შემადგენლობისა და დანაკლისების შესახებაც, მაგრამ მაინც შეგახსენებთ იმ წამყვან მოთამაშეთა ვინაობას, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით ნაკრებს ვერ დაეხმარებიან. ძირითადად კი, მათი არყოფნა საკუთარი კლუბების ჭირვეულობით აიხსნება. დამდეგი ორივე შეხვედრა ხომ ამხანაგურის სტატუსს ატარებს და ამიტომაც კლუბებმა ჩვენი ნაკრების დამრიგებელი ტიმ ლეინი ცივი უარით გაისტუმრეს.

მოკლედ, „ბორჯღალოსნებს“ შერკინების პირველ ხაზში არ ეყოლებათ გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, დავით ხინჩაგაშვილი, დავით ქუბრიაშვილი. მეორე ხაზში მამუკა გიორგაძეს მოისაკლისებენ. მესამე ხაზელებს და ნახევარმცველებს არავინ აკლიათ. უკანა ხაზში კი მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი გიორგაძე და რეზო გიგაური ვერ მოირგებენ ეროვნული გუნდის ფორმას.

და კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი, რომელიც 2009-2010 წლების „ერთა თასს“ შეეხება. IRB-ს გადაწყვეტილებით საქართველოს ნაკრები რუსეთთან ორივე თამაშს ნეიტრალურ მოედანზე გამართავს. ეს უპრინციპულესი მატჩები სავარაუდოდ, საფრანგეთში ჩატარდება.

**ზურაბ მიგრიაული**

ჭადრაკი

# ჯობავა რუსს ველარ აჯობებს



**ბარსელონას** საჭადრაკო ტურნირზე მერვე ტურში ქართველი ბაადურ ჯობავა მსოფლიოს ექსჩემპიონ ანტუანეტა სტეფანოვას ყაიმი ეთამაშა და ჩემპიონობის თეორიული შანსიც დაკარგა. ჯობავა ველარ ეწევა რუს დიდოსტატ ალექსეი დრეევს, რომელიც ექვსი ქულით შეჯიბრის მიწურულს ერთპიროვნულად ლიდერობს. ბარსელონას მერიაში მიმდინარე ტურნირი ცხრატურიანია. ჯობავა დასკვნით ტურში თეთრი ფიგურებით ეთამაშება აშშ-ის სახელით მოასპარეზე ბორის გულკოს. ჩვენებურს ამჟამად 4,5 ქულა აქვს.

კატალონიური ტურნირის გამარჯვებული 1500 ევროთი დაჯილდოვდება, მეორეადგილოსანი 1200 ევროს მიიღებს, ხოლო მესამე ადგილზე გასული — 900 ევროს.

**ზურაბ მიგრიაული**



# ზაზა ფაჩულიას არნახული გარემოცვა

გუშინ და გუშინწინ ოთხმა ქართველმა ითამაშა ჩემპიონატებში. აქედან სამი ესპანეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობს, ერთი კი — ზაზა ფაჩულია — ნბა-ში. პირინეის ნახევარკუნძულზე ერთგვარი ქართული დერბი შედგა, ნიკოლოზ ცქიტიშვილის და ვლადიმერ ბოისას გუნდები ეთამაშნენ ერთმანეთს. თუმც განსაკუთრებით ვერც ერთმა ჩვენიანმა ვერ გაიბრწყინა. ამასობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში საოცარ სერიას აგრძელებს ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსი", რომელიც თამაშს თამაშზე იგებს და ზედიზედ ხუთი შეხვედრა არ წუგია. ასეთი სტარტი კი 12 წელია, არ ახსოვს ჯორჯიულ გუნდის გულშემატკივარს.

**ატლანტა 89:85 ოკლაჰომა**

ადვილი გამარჯვება არ გამოუვიდათ ზაზა ფაჩულიას და მის თანაგუნდელებს ნბა-ს ახალწვეულ გუნდთან დაპირისპირებაში, თუმც მთავარი მაინც ისაა, რომ ჯორჯიელებმა მეხუთე შეხვედრაში მეხუთე გამარჯვება იზეიმეს.

ზაზა ფაჩულიამ ამჯერად წინა თამაშებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, თუმც მოედანზე 10 წუთიც კი არ გაუტარებია.

არადა, ოკლაჰომელებთან მან თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო, რადგან „ქორების" ძირითადი თავდემსხმელი ჯოშ სმიტი დაშავებულია. მასთან ერთად დაიწყეს ალ ჰორფორდმა, მარვინ უილიამსმა, მაიკ ბიბიმ და ჯო ჯონსონმა. ეს პირველი შეხვედრა იყო, როდესაც ჰორფორდი, უილიამსი და ფაჩულია ერთდროულად იყვნენ ძირითად ხუთეულში.

ატლანტელთა გამარჯვებაში ყველაზე დიდი როლი ამჯერად ჯო ჯონსონმა შეასრულა. მან ყველაზე მეტი ქულა დააგროვა — 25 და მოედანზე მყოფ კალათბურთელთა შორის საუკეთესო იყო.

**ზაზა ფაჩულია:** 9 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 დაკარგვა, 3 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო.

**ფუენლაბრადა 91:80 ვივე მენორკა**

ეს იყო ესპანეთში გამართული ქართული დერბი. ერთი ეგაა, რომ ვერც ნიკა ცქიტიშვილმა და ვერც ვლადიმერ ბოისამ ვერ შეძლეს რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება. ცქიტიშვილისთვის ეს მეორე შეხვედრა იყო მადრიდული გუნდის შემადგენლობაში და, პირველისგან განსხვავებით, ამჯერად მისი მონაგარი გაცილებით მოკრძალებული გახლდათ.

კიდევ უფრო მოკრძალებული გამოდგა ბოისას საამმატჩო მაჩვენებელი. არადა, ჩვენც და ამ გუნდების გულშემატკივრებიც ქართველთაგან გაცილებით უფრო შთამბეჭდავ თამაშს ველით.

ისე კი, მოგება მასპინძლებს, ნიკა ცქიტიშვილის თანაგუნდელებს დარჩათ. ეს მათთვის მეექვსე შეხვედრაში მოპოვებული მესამე გამარჯვებაა. ამ მაჩვენებლით მადრიდელები სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზე იმყოფებიან.

„ვივე მენორკა" კი ტაირონ ელისის „კახასოლთან" ერთად ექვსი მატჩიდან ერთი მოგებით და ხუთი მარცხით ესპანეთის ჩემპიონატში ბოლო ადგილებზეა.

**ნიკა ცქიტიშვილი:** 20 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 2 სამქულიანი.

**ვლადიმერ ბოისა:** 17 წუთი, 1 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა, 1 ჩაჭრა, 1 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 0 ორქულიანი, 2-დან 0 სამქულიანი.

**კახასოლი 65:70 იურბენტია**

სულ უფრო და უფრო ველარ ახერხებს სტაბილური თამაშის ჩვენებას სევილიური „კახასოლის" ამერიკელ-ქართველი უკანახაზელი ტაირონ ელისი. მან ვერც ამჯერად შეძლო ისე თამაში, როგორც გუნდის ლიდერს შეეფერება და შესაბამისად, თანაგუნდელები მორიგ წაგებას ვერ გადაარჩინა.

არადა, ჯერჯერობით საშველიც არაფერი ჩანს, ელისისა და ბოისას გუნდები თამაშს თამაშზე აგებენ. აქედან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო უკან მიიწევენ. თუმცა ახლა სადაც არიან, იმაზე ქვემოთ ნამდვილად ველარ ჩავლენ — სულ ცოტა, ამ სეზონის ბოლომდე მაინც...

**ტაირონ ელისი:** 20 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 პერსონალურ შენიშვნა, 2-დან 2 ორქულიანი, 3-დან 0 სამქულიანი.

**გიორგი არაბული**



# მეორე კარგი და მეორე ცუდი

**ზედიზედ** მეორე შეხვედრა მოიგო ქართველმა სუმოისტმა ლევან ცუგარიამ (კოკაი) იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში, სადაც ნოემბრის ბაშო მიმდინარეობს.

იქვე მეორედ დამარცხდა მეორე ქართველი რიკიში ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი). არადა, ჯერ მეორე საშეჯიბრო დღე იყო.

კოკაიმ გამარჯვება აღმოსავლეთის მეათე მაეგაშირა ბუშუიამასთან დაპირისპირებაში მოიპოვა. მაკუუჩი დივიზიონის დებიუტანტს ქართველმა საკმაოდ იოლად აჯობა და გაიფორმა კიდეც ტურნირის კარგად დაწყება.

რაც შეეხება დამარცხებულ ლევანს, ტოჩინოშინს, მას ამჯერად აჯობა დასავლეთის მეხუთე მაეგაშირამ, სუმოს ვეტერანმა და ორი წაგება აქვს.

კოკაი ახლა დასავლეთის მეთორმეტე მაეგაშირა კისუგანიშიკის შეერკინება, რომელსაც ერთი მოგება და ერთი წაგება აქვს. წესით და რიგით, კარგ ფორმაში მყოფ ცაგურიას ამ მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. ტოჩინოშინი კი თავის პირველი საამტურნირო მოგების მოპოვებას აღმოსავლეთის მესამე მაეგაშირა კოტოშოგიკუსთან დაპირისპირებაში შეეცდება, რომელსაც თავის მხრივ ჯერჯერობით ერთი მოგება და ერთი წაგება აქვს.

ისე ტოჩინოშინმა წინა სექტემბრის ბაშოც თავიდან ორი მარცხით დაიწყო და შემდეგ იმდენი მოახერხა, რომ საბოლოოდ ტურნირი დადებითი ბალანსით დაასრულა.




სუმოს რეიტინგში მოწინავე ადგილებზე მყოფი ფალავნებიდან გუშინ იმათ იმარჯვეს, რომლებმაც პირველ დღეს წააგეს. პირველ დღეს მომგებმა ორივე ოძეკმა კი გუშინ მარცხი იწვნია.

ფუკუოკას ბაშოზე ერთადერთი იოკოძუნა ასპარეზობს. ეს არის ჰაკუჰო, მეორე ჩემპიონი ასაშორიუ ამ შეჯიბრებას ტრავმის გამო ტოვებს.

მონღოლმა ჰაკუჰომ, პირველ დღეს წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ გაბრაზებულმა, ადვილად დაამარცხა აღმოსავლეთის პირველი მაეგეშირა ტოიონოშიმა.

ოთხი ოძეკიდან, წინა დღის მსგავსად, ამჯერადაც ორმა მოიგო და ორმა წააგო. მხოლოდ ისაა განსხვავება, რომ სუმოისტებმა როლები გაცვალეს. ამჯერად მოიგეს დასავლეთის ოძეკებმა კაიომ და კოტოოშუმ, კოტომიცუკი და ჩიოტაიკაი კი დამარცხდნენ.

ახლა ოთხივე ოძეკს და ერთი იოკოძუნას ზუსტად ერთნაირი მაჩვენებული აქვს — ერთი მოგება და ერთი წაგება.

ამასობაში რანგით მესამე მაკუშიტა დივიზიონში თავისი პირველი შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე ტურნირზე მესამე ქართველმა სუმოისტმა გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი).

მას თავის მაკუშიტა დივიზიონში სულ შვიდი შეხვედრა აქვს ჩასატარებელი. პირველ ორთაბრძოლაში გაგამარუმ მოუგო ჰომარეფუჯის.

**გიორგი არაბული**



# ქალური ამბები


მანანა შაფაქიძე

**მანანა შაფაქიძემ** მინსკის საერთაშორისო ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და პირველი გამარჯვება მოიპოვა. 19 წლის ქართველმა მეჩოგნემ სამსეტიან მომქანცველ ორთაბრძოლაში რუსი მარია ჟარკოვა დაჯაბნა — 7:5 3:6 6:4. შაფაქიძის მომდევნო მეტოქე შესარჩევის მეორე თამაშში ასევე რუსი ვარვარა გალანინა იქნება.

ამავე ტურნირზე ძირითად ბადეშია განთესილი სოფო შაფათავა. იგი თავის მოწინააღმდეგეს საკვალიფიკაციო რაუნდის დასრულების შემდეგ ელის. მინსკის ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი აშშ დოლარია.

ეკატერინე გორგოძე კი, რომელიც მალიორკაში გამოდის საერთაშორისო ტურნირზე, მეოთხედფინალში გამოაკლდა შეჯიბრს. გორგოძე პირველ რაუნდში პირველ ნომრად განთესილ იტალიელ ფლორის გაუსწორდა, შემდეგ ესპანელ პრატს-მილანსაც მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში უკრაინელ ავიდენკოსთან ველარაფერი გააწყო. ჩვენებურმა სამივე სეტში თავგამოდებით იბრძოლა, მაგრამ ამაოდ... 4:6 6:2 3:6.

მალიორკას საჩოგბურთო ტურნირის ფონდი 10 ათაი აშშ დოლარია.

მიმდინარე კვირაში ანა ტატიშვილიც დაიწყებს ასპარეზობას. იგი სან დიეგოს 50 000-დოლარიან ტურნიზე ძირითადი ბადიდან იბრძოლებს.

**ზურაბ მიგრიაული**

# მინისტრმა სპორტი გაიცნო

**გუშინ** კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის ახალი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სპორტის დეპარტამენტს ესტუმრა და დეპარტამენტისა და ფედერაციების ხელმძღვანელებს შეხვდა.

შეხვედრა ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, რაც თავად მინისტრის სურვილი გახლდათ.

შესაბამისად, საუბრის დეტალებზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, ის კი ცნობილია, რომ მინისტრს ქართული სპორტის პრობლემების დეტალურად გარკვევა სურდა და როგორც ვიცით, ფედერაციების ხელმძღვანელებისგან სრული ინფორმაციაც მიიღო.

**ლუკა თალაკვაძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ქორებმა მუხას დაკორტნეს

9 ნოემბერი

**ოკლაჰამა 85:89 ატლანტა**

ოკლაჰამა: უოტსონი (11), დურანტი (20), გრინი (8), კოლისონი (2), პეტრო (2); ვესტბრუკი (15), სმიტი (14), მეისონი (9), სვიფტი (2), უილკოქსი (2)

ატლანტა: ბიბი (13), ჯონსონი (25), უილიამსი (16), ჰორფორდი (8 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ფაჩულია (9 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა); მიურეი (14), ჯონსი (3), ევანსი (4), ლოუ

**დეტროიტი 76:88 ბოსტონი**

დეტროიტი: პრინსი (23)

ბოსტონი: ტ. ალენი (23), რ. ალენი (17), რონდო (13)

**ნიუ იორკი 107:99 იუტა**

ნიუ იორკი: კროუფორდი (32), რენდოლფი (25 ქულა, 14 მოხსნა)

იუტა: ბუზერი (19 ქულა, 17 მოხსნა), კირილენკო (18), ოქური (17), ბრიუერი (12 ქულა, 7 პასი, 7 ჩაჭრა)

**კლიპერსი 103:92 დალასი**

კლიპერსი: დევისი (22 ქულა, 10 პასი), ტორნტონი (17)

დალასი: ნოვიცკი (33), გრინი (13 ქულა, 12 მოხსნა)

**დენვერი 100:90 მემფისი**

დენვერი: ენტონი (24), ილარიო (18 ქულა, 12 მოხსნა), ბილაფსი (16 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

მემფისი: მაიო (31), გაი (16)

**ლეიკერსი 111:82 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (23), გასოლი (20 ქულა, 15 მოხსნა), ფარმარი (16)

ჰიუსტონი: ბრუკსი (20), მინი (12), სკოლა (12)

**საკრამენტო 115:98 გ. სტეიტი**

საკრამენტო: მარტინი (27), სალმონსი (16), მილერი (14 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ჰიუისი (14 ქულა, 11 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ბიედრინსი (16 ქულა, 18 მოხსნა), ჯეკსონი (15)

**შარლოტი 79:89 ტორონტო**

შარლოტი: აგუსტინი (14)

ტორონტო: ბოში (30 ქულა, 15 მოხსნა), ბარნანი (18)

ზედიზედ მეხუთე გამარჯვება! კარგა ხანია, „ატლანტა ჰოქსს" ასე კარგად არ დაუწყია სეზონი. „ქორებს" გაუჭირდებათ 1996 წლის რეკორდის, ზედიზედ 11 გამარჯვების გამეორება, თუმცაღა კარგ სეზონზე განაცხადს ხომ აკეთებენ.

„ჩემმა ბიჭებმა გასულ სეზონში მცირე წარმატებას გაუსინჯეს გემო, როცა პლეი ოფში „სელტიკსს" შეხვდნენ და კიდევ სურთ იგივეს შეგრძნება" — ამბობს „ატლანტას" თავკაცი მაიკ ვუდსონი, რომელიც ამ სეზონის დაწყებამდე ფსიქოლოგიურად ამზადებდა შეგირდებს და ერთთავად ჩასჩიჩინებდა, დროა, თქვენი თამაში ახალ საფეხურზე აიყვანოთო.

„ქორებს" ოკლაჰომელ „მუხებთან" საუკეთესო დამცველი ჯოშ სმიტი აკლდათ და ხუთეულში ამ მოძრავი ფორვარდის ადგილი შედარებით მძიმე ზაზა ფაჩულიამ შეავსო, მაგრამ მან პირველ სამ წუთში ორი ჯარიმა აიკიდა და ვუდსონმაც პირველ ტაიმში აღარ შეუშვა. თამაში დაძაბული იყო და გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთებში გაირკვა, რომელიც სტუმრებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს. აღსანიშნავია, რომ „ატლანტას" მიერ ძლეული ხუთი გუნდიდან „ოკლაჰამა" ერთადერთი სუსტია, წინა ოთხი კი ბოლო პლეი ოფში დენთის სუნნაყნოსი გუნდი იყო.

დაღმავალი კარიერის დეტროიტული პერიოდი უიღბლოდ დაიწყო ნბა-ს ოთხგზის ბომბარდირმა ალენ აივერსონმა. უხეირო „ნიუ ჯერსისთან" გასვლაზე წაგებაში ხომ „მიიღო მონაწილეობა" და დეტროიტული დებიუტიც ჩაუვარდა, ჩემპიონ „ბოსტონთან" 31 წუთში მხოლოდ 10 ქულა შეაკოწიწა და 4-ჯერ დაკარგა ბურთი.

ვერც გუნდი ათამაშა, უკანა ხაზში მის მეწყვილე რიპ ჰამილტონს თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდია. არადა, სანამ თამაში დაიწყებოდა, დეტროიტულმა პუბლიკამ აივერსონს ისეთი ოვაცია მოუწყო, რომ დარბაზის ჭერი ჩამონგრევას ძლივს გადაურჩა. იმედგაცრუებაც შესაბამისად დიდი იყო.

აი, აივერსონში გაცვლილი ჩონსი ბილაფსი კი თავს შესანიშნავად გრძნობს „დენვერში", რომლის შემადგენლობაშიც მან პირველი მატჩი ჩაატარა და მიუხედავად იმისა, რომ თამაშში 13 სროლიდან 11 გააცუდა, მაინც ბლომად ქულები და პასები მოაგროვა. „დენვერმაც" დამაჯერებლად დაამარცხა „მემფისი", რომლის ახალბედა ლიდერ ოჯეი მაიოს 31 ქულა ქარმა წაიღო.

ნიუ იორკში შეწყდა „იუტას" დაუმარცხებელი სვლა. დერონ უილიამსის არმყოლმა „ჯაზმენებმა" კიდევ კარგად მოატანეს აქამდე. „ნიქსთან" შეხვედრაში მათმა ზორბა მეფარემ კარლოს ბუზერმა 17 მოხსნა გააკეთა, რონი ბრიუერმა კი შვიდჯერ ჩაჭრა ბურთი, მაგრამ „ნიუ იორკმა" ყველაფერს გაუძლო და ჯამალ კროუფორდისა და ზაკ რენდოლფის ლიდერობით ექვს თამაშში მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა. ნიუორკელები ჯერჯერობით კმაყოფილები არიან ახალ თავკაც მაიკ დანტონის მუშაობა-შედეგით.

პირველი გამარჯვება ჩაიწერა „ლოს ანჯელეს კლიპერსმა", რომელსაც აქამდე ზედიზედ ექვსჯერ წაეგო და ეს უიღბლო სერია „დალასთან" შეწყვიტა. ლოსანჯელესელთა ახალმა ლიდერმა ბაირონ დევისმა (22 ქულა, 10 პასი) აჯობა ასაკოვან ოპონენტ ჯეისონ კიდს (7 ქულა, 9 პასი), მერე კი ქომაგები დაამშვიდა, რაკი ნავსი გავტეხეთ, ამიერიდან კიდევ მრავალი გამარჯვება გველისო.

**ირაკლი ფირაშვილი**




ალენ აივერსონს დეტროიტული დებიუტი ჩაუფლავდა




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალძაგეს სუპერშოუ

**ჯო კალძაგემ** რინგიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა. ეს მოხდა გასულ უქმეებზე, მას შემდეგ, რაც უელსელმა ნიუ იორკის ლეგენდარულ „მედისონ სქუერ გარდენში" როი ჯონს-უმცროსი გალახა. „სუპერ ჯომ" ასე, დაუმარცხებლად, დიდების პიკზე წასვლა გადაწყვიტა და ძნელია, გაამტყუნო.

კალძაგემ ყველას, პირველ რიგში კი ამერიკელებს დაუმტკიცა და საქმით აჩვენა, რომ ბრიტანეთში ისევ შეუძლიათ ჩემპიონების გაზრდა და იანკთა ჯიჯღინი იმის თაობაზე, რომ უელსელი თითქოსდა უარს ამბობდა მართლაც დიდ მოკრივეებთან ბრძოლაზე, მხოლოდ თითიდან გამოწოვილი ბრალდებები იყო. აპრილში ბერნარდ ჰოპკინსისა და ახლა ჯონსის დამარცხებით, თანაც ორჯერვე ამერიკაში, კალძაგემ ყველას დაანახვა, რომ თავის წონაში მართლაც უძლიერესია.

ცოტა თუ მოელოდა, რომ კალძაგე ასე დამაჯერებლად შეძლებდა ჯონსის ცემას. არადა, იმას, რაც კვირას გამთენიისას „მედისონ სქუერ გარდენში" ხდებოდა, სხვა სიტყვით ვერ შეაფასებ — უელსელმა მართლაც გალახა თავისი სახელოვანი მეტოქე. ბრძოლა თითქოსდა თანაბრად დაიწყო, პირველი რაუნდის შუაწელზე კი ბრიტანელი მეტოქის კონტრილეთზე წამოეგო და ნოკდაუნში ჩავარდა. კალძაგე ძალიან მძიმედ წამოდგა და ცოტა ხანს დარეტიანებულიც იყო, მაგრამ ამერიკელმა უპირატესობის განვითარება ვერ მოახერხა და მეტოქეს გონზე მოსვლის საშუალება მისცა.

ამის შემდეგ კი დაიწყო და რა დაიწყო — მეორე რაუნდიდან რინგზე ერთი მოკრივე იბრძოდა, მეორე კი მხოლოდ თავის დაცვას ცდილობდა. კალძაგემ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მისი სტილი მართლაც ყველასგან გამორჩეული, შეიძლება ითქვას, უნიკალურიცაა, რომლის გამეორება ძნელად ვინმემ შეძლოს. ფიცარნაგზე უწყვეტი მოძრაობით, მუდმივი ზეწოლითა და დარტყმების არნახულად სწრაფი კომბინაციებით უელსელმა სასწაულად ცუდ დღეში ჩააგდო ამერიკელი. მართალია, კალძაგე ძალიან ძლიერად ვერ ურტყამდა და მეტოქე ნოკდაუნში არ ჩაუგდია, მაგრამ სწრაფი და, რაც მთავარია, ზუსტი დარტყმები ჯონსს ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნიდა.

„გვერდიდან რომ უყურებ, გგონია, ასეთი პატარ-პატარა დარტყმებით ვერანაირ სერიოზულ ზიანს ვერ მოგაყენებს. მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა — ეს დარტყმები ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე შეიძლება წარმოიდგინო. მისი ბრძოლის სტილი ვერაფრით ვერ გავშიფრე" — იტყვის პრესკონფერენციაზე ჯონსი, რომელმაც აღიარა, რომ პირწმინდად დამარცხდა.

ბრძოლის მეორე ნახევარში კი ჯონსი საერთოდ საცოდავად გამოიყურებოდა. მას დაღლა აშკარად დაეტყო და თუ მანამდე მეტნაკლებად მაინც იცილებდა მეტოქის შეტევებს, ბოლოსკენ უკვე სრულიად დაუცველი აღმოჩნდა. კალძაგემ კი ამერიკელთან თამაში დაიწყო — როცა მისი მორიგი შეტევის შემდეგ ჯონსი სახეზე ხელებს აიფარებდა ხოლმე, უელსელი სპეციალურად ახლოს მიდიოდა. ამით იმედმოცემული ამერიკელი იხსნებნოდა და ვითომდა კონტრშეტევაზე გადასვლას გეგმავდა, მაგრამ ამის მაგივრად „სუპერ ჯოს" მუშტების მორიგ პორციას იღებდა.

12 რაუნდიდან 11-ში კალძაგემ ჯონსს ისე უბრაგუნა, თითქოს მის წინაშე კრივის ცოცხალი ლეგენდა კი არა, რომელიმე სპარინგ-პარტნიორი მდგარიყოს. შედეგად, არც არავის გაჰკვირვებია, რომ სამივე მსაჯმა ერთპიროვნულად გამარჯვება უელსელს მიაკუთვნა, თანაც ერთნაირი ანგარიშით — 118:109.

ახლა ამერიკაში ამბობენ, კალძაგემ ჰოპკინსსა და ჯონსს მხოლოდ მათი კარიერის დასასრულს მოუგო და არავინ იცის, თუნდაც 10 წლის წინ რა მოხდებოდაო, თუმც ეს ხავსს ჩაჭიდებული კაცის ნათქვამს უფრო ჰგავს. არ ეთმობათ იანკებს საკუთარი პოზიციების ასე შერყევა და ვერაფრით ეგუებიან იმ აზრს, რომ კალძაგე რინგიდან დაუმარცხებლად მიდის.

ოღონდ ფაქტებს ვერავინ გაექცევა — კრიტიკოსთა გასაჩუმებლად უელსელმა ოკეანის გადალახვა და ამერიკაში ჩხუბიც კი არ ითაკილა, რასაც ყოველთვის თავს არიდებდა. „სუპერ ჯომ" მის წონაში არსებული ყველა ძლიერი მეტოქე დააჩოქა და თან ყველა ლამის უშანსოდ დატოვა.

ჰოდა, ახლა კალძაგეს მართლაც თავისუფლად, ვალმოხდილის შეგრძნებით შეუძლია ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდება, იანკებმა კი ილაყბონ რამდენიც სურთ.

**კახა ლომაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

9 ნოემბერი

**კაროლინა 2:5 ატლანტა**
0:0 2:4 0:1

1:0 ბრინდამორი (22), 1:1 როზონერი (24), 2:1 უიტნი (26), 2:2 პეინსი (31), 2:3 უილიამსი (36), 2:4 კოვალჩუკი (39), 2:5 როზონერი (47)

**ჩიკაგო 6:1 კალგარი**
2:0 1:1 3:0

1:0 პავლატი (11), 2:0 ჯონსონი (20), 3:0 კეინი (31), 3:1 ბოიდი (39), 4:1 ტეივზი (41), 5:1 ვერსტიგი (42), 6:1 ბრაუერი (56)

**ნიუ ჯერსი 1:2 ედმონტონი**
0:0 0:2 1:0

0:1 სურეი (28), 0:2 პემსკი (34), 1:2 პარიზე (44)

**ანაჰაიმი 1:3 ფლორიდა**
1:1 0:2 0:0

1:0 პერი (2), 1:1 ბუტი (4), 1:2 ბუტი (27), 1:3 ბუტი (39)

**ფინიქსი 4:2 სან ხოსე**
2:2 1:0 1:0

0:1 ბოილი (5), 0:2 კლოუ (11), 1:2 ტიხონოვი (13), 2:2 იოკინენი (13), 3:2 მიულერი (23), 4:2 იოკინენი (60)

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**დოჰაში** დასრულებული წლის შემაჯამებელი ტურნირით, ფაქტობრივად, ამოიწურა ჩოგბურთელ ქალთა წლევანდელი პროგრამა. ITF-ის კალენდრით კიდევ დარჩა რამდენიმე ნაკლებად პრესტიჟული ტურნირი გასამართი, მაგრამ ამ შეჯიბრებათა შედეგები WTA-ს რეიტინგების ქვედა ასეულებზე თუ იქონიებს გავლენას, თორემ თავში აღარაფერი შეიცვლება.

მეორე მხრივ, ჩვენ სწორედ რომ კლასიფიკაციის ქვედა ასეულები გვაინტერესებს, რადგანაც ქართველი ჩოგბურთელები, ჯერჯერობით, შორს არიან პირველი ასეულისგან. აქედან გამომდინარე, სანამ რამე ცვლილებები ხდება, ჩვენიანთა მიმდინარე რეიტინგებს სისტემატურად გაგაცნობთ ხოლმე. მაგალითად, რადგანაც წინა კვირაში ATP-ის ეგიდით არანაირი შეჯიბრი არ გამართულა, კაცთა კლასიფიკაციის მოწინავე ნაწილი აბსოლუტურად უცვლელი დარჩა და ამიტომაც არ გავიმეორებთ, მაგრამ სადღაც, ათასეულის ბოლოს მყოფმა ლაზარე კუხალაშვილმა 27 საფეხურით მაღლა აინაცვლა და ეს აუცილებლად უნდა ვთქვათ.

სხვა მხრივ, ისევე როგორც ერთი კვირის წინ, რეიტინგებში კვლავაც 16 ჩვენიანია (7 კაცი და 9 ქალი) და ისინი დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც იყვნენ.



ლაზარე კუხალაშვილი

| კაცები | |
|---|---|
| 541 (0) ირაკლი ლაბაძე | 48 |
| 925 (+27) ლაზარე კუხალაშვილი | 12 |
| 1156 (-2) ლადო ჩიხლაძე | 5 |
| 1233 (-2) ნიკოლოზ ბასილაშვილი | 4 |
| 1253 (-1)ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1564 (+2) ბექა ბუჩუკური | 1 |
| 1660 (+8) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |
| **ქალები** | |
| 168 (-1) ანა ტატიშვილი | 191 |
| 221 (+1) მაკა ჩახნაშვილი | 131 |
| 255 (-3) სოფო შაფათავა | 105 |
| 391 (-9) ოქსანა კალაშნიკოვა | 56 |
| 657 (-3) სოფო ქვაცაბაია | 20 |
| 686 (-3) მანანა შაფაქიძე | 18 |
| 703 (-3) ეკა გორგოძე | ?17 |
| 756 (-2) სალომე დევიძე | 14 |
| 916 (-5) სოფო მელიქიშვილი | 8 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4710 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 3866 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3817 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3663 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3457 |
| 6. ვინუს უილიამსი (აშშ) | 3272 |
| 7. ვერა ზვონაროივა (რუსეთი) | 2952 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2726 |
| 9. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2286 |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1976 |
| 12. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1678 |
| 13. ფლავია პენეტა (იტალია) | 1670 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1590 |
| 15. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1494 |
| 16. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1492 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1410 |
| 18. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1363 |
| 19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1337 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1272 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4786 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3823 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3681 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3400 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3353 |
| 6. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2626 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2623 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 9. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2256 |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1914 |
| 12. ფლავია პენეტა (იტალია) | 1814 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1756 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1596 |
| 15. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1499 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1497 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1487 |
| 18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1447 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1410 |
| 20. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1370 |

## საპრიზოები

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 3852173 |
| 2. ვინუს უილიამსი (აშშ) | 3747565 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3064465 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2838390 |
| 5. დინარა საფინა (რუსეთი) | 2515020 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1937879 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1920679 |
| 8. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1773175 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1452369 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1164072 |
| 11. სარა ბლეკი (ზიმბაბვე) | 919940 |
| 12. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 895145 |
| 13. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 893295 |
| 14. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 892737 |
| 15. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 803525 |
| 16. ჟი ჟენგი (ჩინეთი) | 771469 |
| 17. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 752189 |
| 18. ფლავია პენეტა (იტალია) | 723059 |
| 19. აი სუგიამა (იაპონია) | 722201 |
| 20. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 720474 |

# თითქმის სრულყოფილი ვინუსი

**ვინუს უილიამსს** მხოლოდ მესამე ცდიდან გამოუვიდა წლის შემაჯამაბელი ტურნირის მოგება. ამით მან თავისი ტიტულების ძალიან მდიდარ კოლექციას კიდევ ერთი მარგალიტი შემატა.

უფროსი შავდა უკვე მესამედ თამაშობდა სეზონის ზერვეულისთვის განკუთვნილ ტურნირზე. ისე, წესით, მეტი გამოცდილება უნდა ჰქონოდა, რადგანაც ვინუსმა რვაჯერ მოიპოვა ამდაგვარ შეჯიბრებებზე თამაშის უფლება, მაგრამ ხშირი ტრავმების გამო მხოლოდ ორჯერ შეძლო მასში მონაწილეობის მიღება. ორივე შემთხვევაში ის ნახევარფინალმდე მივიდა, მაგრამ მსოფლიოს მოქმედმა პირველმა ნომრებმა გადაუღობეს გზა (1999-ში მარტინა ჰინგისმა, 2002-ში კიმ კლაისტერსმა).

ამჯერად ვინუსი ტურნირს მართლაც საუკეთესო ფორმაში შეხვდა. მას არათუ ტრავმა არ აწუხებდა, არამედ ფიზიკურადაც იდეალურად იყო მომზადებული, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანდა როცა მატჩების შუაგულში ტემპს უმატებდა და ამით გადამწყვეტ უპირატესობას ეუფლებოდა. დოჰაში უფროსმა უილიამსმა თავისთვის უხეირო, ზემოთ უკვე ხსენებული ტრადიციაც დაარღვია და ნახევარფინალში მსოფლიოს მოქმედ პირველ ნომერ ელენა იანკოვიჩს მოუგო.

ფინალის წინ ვინუსი უდავო ფავორიტად მოჩანდა და ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი მის გამარჯვებაში. თუმც ვერა ზვონარიოვამ, რომელიც ნამდვილ მოვლენად იქცა ყატარში, იოლად დანებება არ ისურვა და პირველ სეტში ნამდვილი ომიც გააჩაღა. თავიდან სწორედ რუსი გაიჭრა წინ 5:2, მაგრამ ამერიკელმა საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. საჩოგბურთო ლატარიაში უკვე უილიამსი დაწინაურდა 5:1 და რომ გაიფიქრა, პარტია მე დამრჩაო, ზვონარიოვამ კიდევ გაიბრძოლა და ზედიზედ ექვსი ქულის აღებით ტაიბრეიკიცა და შესაბამისად მთლიანად სეტიც თავისთვის დაიტოვა.

აქ კი, ეტყობა, ვინუსი მართლაც გაბრაზდა და კორტზე ქარიშხალი დაატრიალა, ისეთ ტემპში ათამაშდა, რომლის გაძლებაც ზვონარიოვას კი არა, თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ორიოდ წარმომადგენელს თუ ხელეწიფება. ჰოდა, გასაკვირი არც არის, რომ მომდევნო ორ სეტში რუსმა მხოლოდ ორი გეიმი აიღო, ხოლო მატჩის დაწყებიდან ორი საათისა და 10 წუთის თავზე იძულებული შეიქნა, მეტოქისთვის გამარჯვება მიელოცა.

„რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. ასეთ ვინუსს წარმოუდგენელია, მოუგო“ — ამბობდა ნა-



ვინუს უილიამსს ჭილდო ყატარის ემირის მეუღლემ, შეიხა მოზამ გადასცა

მატჩევს ზვონარიოვა, რომელიც უფროს უილიამსს მეექვსედ გადაეყარა და ყველა შემთხვევაში დამარცხდა.

„ეს საოცარი პატივია, სიტყვები არც კი მყოფნის, საკუთარი გრძნობები რომ გამოვხატო. ამ ტურნირის მოგება მართლაც საოცრებაა, რადგანაც საუკეთესოებს შორის თამაშობ და აქ გაპირველება ბევრს ნიშნავს“ — ცოტა დაბნეული იყო დაჯილდოებისას ყოველთვის თვითდაჯერებული და ხუმარა ვინუსი.

შეიძლება ეს იმის ბრალიც იყო, რომ უილიამსს საჩემპიონო პრიზი თავად ყატარის პირველმა ლედიმ გადასცა. იქვე იყო ქალთა ჩოგბურთის ლეგენდა ბილი ჯინ კინგიც — ეს პრიზი ხომ სწორედ მისი სახელობისაა.

ვინუსისთვის ყატარში გაპირველება 39-ე მოგებული ტიტული გამოდგა. თან ამ გამარჯვებით ქალებისთვის სარეკორდო 1 340 000 დოლარი ჩაიჯიბა და კარიერული მონაგარი 21,9 მილიონამდე აიყვანა.

**ქახა ლომაშვილი**

# ვაა, სიმონ?!

კაცები
მასტერსის თასი
შანხაი. ჩინეთი
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 4 450 000 დოლარი

**წითელი ჯგუფი**

**ჟილ სიმონი (8, საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 4:6 6:4 6:3; ენდი მიური (3, ბრიტანეთი) — ენდი როდიკი (5, აშშ) 6:4 1:6 6:1**

ფრანგი ჟილ სიმონი მხოლოდ იმიტომ თამაშობს შანხაიში მიმდინარე მასტერსის თასზე, რომ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა რაფაელ ნადალმა ტრავმის გამო უარი თქვა ჩინეთში გამგზავრებაზე. რაფას ადგილი, სწორედ რეიტინგის მე-9 საფეხურზე მყოფმა სიმონმა დაიკავა და სეზონის შემაჯამებელი ტურნირის ამ ერთგვარმა „ლაქი ლუზერმა“ მართლაც რომ იღბლიანად დაიწყო შანხაიში თამაში.

გუშინ, „წითელი“ ჯგუფის გამხსნელ შეხვედრაში სიმონს მეტოქედ თვით როჯერ ფედერერი ჰყავდა და ცოტანი თუ იფიქრებდნენ ფრანგის გამარჯვებას. თანაც, მატჩი ფედერერის უპირატესობით დაიწყო — მასტერსის თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა პირველ სეტში 6:4 მოუგო მეტოქეს და მეორეშიც ეგრევე ბრეიკი გააკეთა. მაგრამ ჟილმა არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, კიდევ ერთი ბრეიკიც გააკეთა, სეტებში წონასწორობაც აღადგინა და მესამე პარტია კი უკვე მთლიანად ფრანგის კარნახით წარიმართა.

ბაჰრეინის ღია პირველობა. მანამა. ბაჰრეინი. 9-15 ნოემბერი

# რონის არა არაბებს

შორეული აღმოსავლეთის, კერძოდ კი ჩინეთის უზარმაზარი ბაზრის ათვისების შემდეგ, ბილიარდის ყველაზე ეშხიანი და პოპულარული სახეობა სნუკერი არაბულ სამყაროშიც შეიჭრა. სნუკერისტთა ოფიციალურ კალენდარში ახალი სარეიტინგო ტურნირია — ბაჰრეინის ღია პირველობა და მართალია, როგორც ახალ საქმეს ჩვევია ხოლმე, შეჯიბრის დაწყებას გარკვეული ორგანიზაციული ხარვეზები ახლდა, მთავარი სხვა რამ არის — სნუკერმა არაბული ფანჯარაც გაჭრა და როგორც ჩინელები უკვე ამაყობენ დინ ჯუნხუთი და მარკო ფუთი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში არაბებსაც გამოუჩნდებათ მაღალი დონის მოთამაშეები.

ხსენებული ორგანიზაციული ხარვეზებით დავიწყოთ. სამწუხაროდ, პირველად სარეიტინგო ტურნირების ისტორიაში, ვერ მოხერხდა შეჯიბრის ჩატარების თარიღის შეთანხმება პრემიერლიგის ორგანიზატორებთან. პრემიერლიგა არასარეიტინგო ტურნირი კია, მაგრამ ელიტარულ მოთამაშეებს ამ შეჯიბრთან კონტრაქტები აკავშირებთ, ისინი პრემიერლიგაში მონაწილეობით გვარიან ფულს აკეთებენ და კალენდარული შეხვედრების გაცდენას ვერც შეძლებენ და არც მოინდომებენ. და აი, ახლა სწორედ ისე მოხდა, რომ ერთბაშად ოთხ ელიტარულ სნუკერისტს — ჯონ ჰიგინსს, მარკ სელბის, დინ ჯუნხუს, სტივ დევისს — პრემიერლიგის მორიგი ტური აქვს გასამართი. ამ ოთხეულიდან ბაჰრეინში, ერთადერთი, შეიძლება, სუპერვეტერანი დევისი ჩავიდეს. ჰიგინსი, სელბი და ჯუნხუ კი არაბული შეჯიბრის მონაწილეთა სიაში არ არიან.

თუმცა, ამათ არყოფნას ბაჰრეინის პირველობის ორგანიზატორები კიდევ იოლად გადაიტანდნენ, არაბეთში მსოფლიოს ჩემპიონი და სნუკერისტთა რეიტინგის ლიდერი რონი ოსალივანი რომ ჩასულიყო. რონი პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ სულ ბოლო მომენტში, ექიმების რეკომენდაციით, უარი თქვა სპარსეთის ყურეში გამგზავრებაზე.

რატომ და რა რეკომენდაცია მისცეს ოსალივანს ექიმებმა, ძნელი სათქმელია. უფრო ის გვგონია, რომ ჭირვეული ხასიათის რონის დიდად არ ეხალისება ეგზოტიკურ ქვეყნებში თამაში. აკი, ჩინეთში სისტემატურ ვიზიტებსაც ძლივს შეეჩვია და ახლაც დაიზარა ბაჰრეინში წასვლა. არადა, სწორედ რონი ოსალივანია თანამედროვე სნუკერის ყველაზე პოპულარული და ცნობადი სახე და არაბებს ყველაზე მეტად, სწორედ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის საქმეში ნახვა გაუხარდებოდათ.

ახლა კი, უშუალოდ ტურნირის შესახებ, რომელსაც საკვალიფიკაციო ეტაპი და ვაილდ-ქარდ რაუნდი უძღვოდა წინ. საკვალიფიკაციო ეტაპის გმირი და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წრეში დამარცხდა და ძირითად ბადეში ვერ გააღწია, ჩინელი ლიან ვენბო გახდა, რომელმაც მარტინ გოულდთან 5:1 მოგებულ შეხვედრაში ფენომენალური თამაში აჩვენა — მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი გააკეთა, რასაც ორი 139 და ერთი 115-ქულიანი სერია დაამატა.

მაქსიმალური ბრეიკის გარეშე არც ვაილდ-ქარდ რაუნდს ჩაუვლია. ამჯერად 147-ქულიანი სერია მარკუს კემპბელმა გამოაცხო და ეს იყო მიმდინარე სეზონში მესამე, ხოლო სულ სნუკერის ისტორიაში 66-ე მაქსიმალური შედეგი.

უშუალოდ ვაილდ-ქარდ რაუნდს რაც შეეხება, ის სპეციალურად არაბი სნუკერისტებისთვის ჩატარდა, რადგანაც მათი კვალიფიკაციიდან და რეიტინგებიდან გამომდინარე, ძირითად ბადეზე აღარ არის ლაპარაკი და ისინი არც საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრას იმსახურებდნენ. ამიტომაც ორგანიზატორებმა დამატებითი შესარჩევი წრე მოიგონეს და ექვს არაბ სნუკერისტს მისცეს პროფესიონალებთან თამაშის საშუალება. ექვსივემ წააგო, სამმა — 0:5 და სამმაც — 1:5.

აი, ასეთი ამბები უძღვოდა ძირითად შეჯიბრს წინ და თავად ტურნირი კი განთესილთა გვემით დაიწყო — პირველ დღეს ჩატარებულ ხუთივე შეხვედრაში კვალიფიკაციიდან წამოსულებმა აჯობეს რანგით მაღლა მდგომებს. მაიკლ ჰოლტმა 5:3 მოუგო ჯეიმი კოუპს, დომინიკ დეილმა ანალოგიური ანგარიშით აჯობა მარკო ფუს, ბარი ჰოუკინსმა ასევე 5:3 სძლია კენ დოჰერტის, კიდევ ერთი 5:3 ბარი პანჩისა და გრემ დოტის შეხვედრაში აღინიშნა, ხოლო მაიკ დანმა 5:4 დაამარცხა შონ მერფი.

დოტი ძველი, საჩემპიონო დონის აჩრდილია და განსაკუთრებული სენსაცია, არც კოუპის, ფუსა და დოჰერტის წაგებებშია. აი, მერფის მარცხიანი თამაში კი აბსოლუტურად გაუგებარია. შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მოთამაშე და რეიტინგის მესამე ნომერი ახალ სეზონში ვერაფრით ახერხებს თუნდაც ერთი ბარიერის დაძლევას — ჩრდილოეთ ირლანდიის თასზეც, შანხაის მასტერსზეც, შოტლანდიურ დიდ პრიზზეც და აგერ, ახლა ბაჰრეინშიც, მერფი პირველივე შეხვედრებში დამარცხდა.




რონი ოსალივანმა ბაჰრეინში ჩასვლა იუარა, შონ მერფი კი პირველივე წრეში დამარცხდა



აფროსნობა

# მარტო კაცი ცურვაშიც საბრალოა?

## იახტებს მეთევზე შეეჩეხა

ლე საბლე დოლონეში — დასავლეთ საფრანგეთის ერთ მცირე საპორტო ქალაქში, სწორედ ისეთში, რომლის ნავსადგურშიც ასობით იახტა თავმომწონედ დგას დრეიფზე — გუშინწინ სტარტი აიღო მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა საფროსნო შეჯიბრმა „ვენდი გლობმა". მაგრამ შეცდომა იქნებოდა მისთვის მხოლოდ სპორტული შეჯიბრი გვეწოდებინა, რადგან ათეულობით მონაწილეთათვის ის მთელი ცხოვრებაა.

„ვენდი გლობი" გახლავთ ცალკორპუსიანი, ცალანძიანი და ცალკაციანი იახტების გარსაქვეყნო მოგზაურობა-შეჯიბრი, რომელიც დაახლოებით სამ თვეს გრძელდება და მონაწილეთათვის დიდ ცხოვრებისეულ გამოცდად, ხშირად კი სიკვდილთან ბრძოლად იქცევა ხოლმე. თითო კაცისგან შემდგარი „ეკიპაჟებისთვის" ეს სამი თვე უკიდურესად საშიშიც, მათ ხომ მარტოებმა უნდა შემოუარონ პლანეტას, გადასერონ სამი ოკეანე, გადაცურონ სასიკვდილო აისბერგებით სავსე სამხრეთის წყლები ინდოეთისა და წყნარ ოკეანეში და თან ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გააკეთონ, რათა პრიზი და აღიარება შეხვდეთ.




პირველი „ვენდი გლობი" 1989 წელს შედგა, ეს კი მეექვსე გახლავთ. ამ შეჯიბრში ძირითადად ფრანგულენოვანი ზღვაოსნები მონაწილეობენ, რადგან ორგანიზატორები ფრანგები გახლავან, თუმც ბოლო წლებში სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც მიეძალნენ და ეს გაცურვა შემადგენლობით ყველაზე ძლიერი და ინტერნაციონალურია. დოლონედან გასულ 30 კაპიტან-მეზღვაურს შორის რამდენიმე ქალი გახლავთ და მათ შორისაა უცნობილესი ელენ მაკარტური, არაერთგზის გინესის რეკორდსმენი და წინა, 2004 წლის გაცურვის მონაწილე.

ზღვაოსნებისთვის ბისკაის ყურეში გატარებული პირველი ღამე მოვლენებით დატვირთული გამოდგა. ორი იახტა უკანაც მობრუნდა. დომინიკ ვავრეს ელექტროობამ უმუხთლა და კაპიტანმაც მის შესაკეთებლად საჭე ნაპირისკენ მიატრიალა. მეორე, ბერნარდ სტამი კი მეთევზის ნავს შეეჯახა და ბუშპრიტი დაიზიანა.

„რამდენიმე ნავი ერთად მივცურავდით — ყვებოდა ნავსადგურში ხალხდასეული სტამი — შორს მეთევზის ნავი გამოჩნდა. საჭე და იალქნები მტკიცედ მქონდა დამაგრებული და ის ნავი ჩემს კურსზე არ იდო. დაბლა ჩავედი რაღაც აუცილებლის გასაკეთებლად და ცოტა ხანში „ბახ!" ძლიერმა დარტყმამ შემარყია. ვერც კი ვხვდები, როგორ აღმოჩნდა ის მეთევზე ჩემს გზაზე. ეტყობა, სხვებს მოერიდა და ამასობაში მე შემეჯახა. საბედნიეროდ, მხოლოდ ბუშპრიტი დავიზიანე, უცებ შევაკეთებ და ისევ გავალ ზღვაში. რა თქმა უნდა, გვარიანად ჩამოვრჩი სხვებს, მაგრამ ეს მოგზაურობა სულ ცოტა 80 დღე გრძელდება და ვეცდები რაც შეიძლება მალე ამოვქაჩო."

ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა, რამდენად სახიფათოა თვალუწვდენელ ოკეანეში მარტო ცურვა. სტატისტიკა გვეუბნება: „ვენდი გლობის" წინა ხუთ გაცურვაში 88-ში ნავმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ფინიშამდე 58-მა მიაღწია, სამი იახტა კი დაიკარგა.

**ირაკლი ფირაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge